ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 84
(11 950)

28 – 31 ოქტომბერი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მილოცვები

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელს და პრეზიდენტს ბ. პატარკაციშვილს**

ბატონო ბადრი,

მაქვს პატივი საქართველოს სპორტის დეპარტამენტის და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელად მოგილოცოთ დაბადებიდან ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ქართულ სპორტს არასდროს ჰყოლია ისეთი ერთგული შემწე-მეოხი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ბატონო ბადრი!

ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს იმ მხარდაჭერას, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ კრიტიკულ წლებში ქართული სპორტისადმი. თქვენმა უანგარო თანადგომამ მოუმზადა ნიადაგი დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიელების შთამბეჭდავ წარმატებას ათენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში. დიდია თქვენი წვლილი 2008 წლის ოლიმპიადისათვის საქართველოს ათლეტების მზადებაში. არა მხოლოდ ოლიმპიური, არამედ, საერთოდ, საქართველოს სპორტული სამყარო მადლიერია იმ ღვაწლისათვის, რაც თქვენ მიგიძღვით საქართველოს სახელის საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საამაყოდ წარმოჩენაში.

უღრმესი მადლობა ყველაფრისათვის.

**დავით ნამგალაური,**
**საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.**

საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია, პირადად მისი პრეზიდენტი რუსუდან სიხარულიძე დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს და ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელს, ცნობილ ბიზნესმენს და ქველმოქმედს **ბადრი პატარკაციშვილს.**

„ჩვენ ვამაყობთ თქვენით, ვგრძნობთ რა თქვენგან მუდმივ ყურადღებას და თანადგომას. ვცდილობთ გავაკეთოთ შესაძლებლობების მაქსიმუმი, რომ ქართული სპორტისადმი თქვენს ზრუნვას ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ" — ნათქვამია ქალბატონ რუსუდან სიხარულიძის მილოცვაში იუბილარისადმი, რომელიც რედაქციამ მიიღო.

* * *

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 50 წლის იუბილეს ულოცავს ქართული სპორტის ამაგდარს, დიდ მეცენატს, უანგარო მამულიშვილს, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს** და უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლეს, ქართული სპორტის სადიდებლად.

* * *

ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში, საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ასანიძე დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, სახელოვან ქველმოქმედს ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს.**

# ბადრი პატარკაციშვილს დაბადებიდან 50 წელი უსრულდება!

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელს და პრეზიდენტს ბ. პატარკაციშვილს**

ბატონო ბადრი,

თქვენ გამორჩეულად იმ ღირსეულ ქველმოქმედ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებიც უხმაუროდ, ამაღლებული პატრიოტული სულისკვეთებით დგანან ქვეყნისა და ხალის სამსახურში, ერის ფასეულობების სადარაჯოზე. ქართულმა სპორტმა, მისმა ოლიმპიურმა მოძრაობამ, თავის თავზე მრავალგზის გამოსცადა თქვენი უშურველი უანგარობა და ირწმუნა, რომ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ სპორტში ეროვნული ფენომენის გაბრწყინებით საქართველოს სახელოვნად წარმოჩენაში მსოფლიოში, განსაკუთრებით, ოლიმპიურ თამაშებში.

გვეამაყება, რომ დღეს ერთად ვდგევართ ქართული სპორტის, საქართველოს ეროვნული მოძრაობის სამსახურში. ღრმად გვწამს, ჩვენც, საქართველოს სპორტულ სამყაროსაც და ქართველ ხალხსაც, რომ თქვენი ხელმძღვანელობით და თანადგომით კიდევ უფრო გაღრმავდება და საამაყო გახდება საქართველოს ოლიმპიური მონაპოვარი.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მივეცით თავს უფლება, ასე საჯაროდ მოგველოცა თქვენთვის დაბადების დღე.

გისურვებთ ყოველივე სიკეთეს.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,**
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი.**




საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელს და მის პრეზიდენტს, ქართული სპორტის ერთგულ შემწეს, სიკეთით და ქველმოქმედებით გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს.**

* * *

საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი — ყველასათვის" თავის მრავალრიცხოვან კონტინგენტთან ერთად დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს სპორტული სამყაროსთვის უძვირფასეს პიროვნებას, ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს.**

* * *

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია გამოხატავს რა ღრმა პატივისცემას, როგორც დიდი ქველმოქმედისა და პიროვნებისადმი, დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელს და პრეზიდენტს, ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს.**

საქართველოს სროლის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 50 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელსა და პრეზიდენტ ქართული სპორტის პრობლემების გამთავისებელს, ბრწყინვალე პიროვნებას, ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს.**

* * *

„ლელო" უერთდება ბატონ **ბადრი პატარკაციშვილისადმი** საიუბილეო მილოცვებს.

# მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია, ვეტერანი კოლეგები, მწვრთნელები, სხვადასხვა თაობის ტანმოვარჯიშეები დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავენ ღვაწლმოსილ სპეციალისტს ტანვარჯიშში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების მედლის კავალერს, ბრწყინვალე პიროვნებას **ზიგფრიდ გვეტაძეს**, რომელმაც 50 წელი გაატარა ქართული ტანვარჯიშის სამსახურში.

# ვიქტორ სანეევის საიუბილეო დღეები გრძელდება

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის და მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის **ვიქტორ სანეევის** დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო კვირეულის პროგრამით, გუშინ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ვიქტორ სანეევთან ერთად შეხვედრაზე მოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები **მზია ჯუღელი, დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე, ლერი ხაბელოვი** (სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი), სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტი **ნონა გაფრინდაშვილი.** კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე **თამაზ თევზაძე,** სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური,** მისი პირველი მოადგილე **გია გალდავა,** მოადგილე **ედიშერ მაჩაიძე,** სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, ფედერაციების პრეზიდენტები და წარმომადგენლები, ვეტერანი და ახალგაზრდა მძლეოსნები.



შესავალი სიტყვით გამოვიდა და სტუმარს გულთბილად მიესალმა აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი **დურმიშხან ჩიტაშვილი.**

იუბილარს მიესალმნენ ნონა გაფრინდაშვილი, რობერტ შავლაყაძე, **მამია ტუღუში,** ისრაელიდან საგანგებოდ ჩამოსული ვეტერანი მძლეოსანი და მსაჯი **დავით ეფრემაშვილი...**

ლერი ხაბელოვმა გამოაცხადა, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაწესებულია საქართველოს სამი სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენის ვიქტორ სანეევის, **ლევან თედიაშვილის** და ნონა გაფრინდაშვილის სახელობითი სტიპენდია აკადემიის წარჩინებული სამი სპორსტმენი სტუდენტისთვის. ლერი ხაბელოვმა მათ იქვე გადასცა შესაბამისი მოწმობები. სტიპენდიანტთა სახელით მადლობა გადაიხადა ათენის ოლიმპიადის მონაწილე ახალგაზრდა მძლეოსანმა **მარიამ ქევხიშვილმა.**

დ. ჩიტაშვილმა გამოაცხადა, რომ თავის მხრივ სპორტის აკადემია აწესებს ლერი ხაბელოვის სახელობის სტიპენდიას.

შემდეგ ტრიბუნაზე უხმეს აკადემიის I კურსის სტუდენტს, მსოფლიო ოლიმპიურ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულს, ათენის ოლიმპიადის ახალგაზრდული ბანაკის წევრს **თორნიკე გაჩეჩილაძეს,** რომელმაც განაცხადა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებით აკადემიაში ჩარიცხული პირველი კურსის სტუდენტები აფუძნებენ „ოლიმპიური მემკვიდრეობის საქართველოს ახალგაზრდულ ეროვნულ ასოციაციას „ვიქტორი" — ვიქტორ სანეევის პატივსაცემად. მომავალში კი ასოციაცია საერთაშორისო გახდება. ამ ცნობას დარბაზი ოვაციით შეეგება.

შემდეგ ვიქტორ სანეევი, ასევე საიუბილეო პროგრამით, სეოკ-ის აფხაზეთის ორგანიზაციამ ისტუმრა.

„ლელო" – „გუმათი"

# ფალავანთა მატჩი: მსოფლიო ნაკრები – რუსეთი



**ეს სასიამოვნო ინფორმაცია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა მოგვაწოდა.**

**ჩვენს ფედერაციას ტელეფონოგრამა მიუღია მოსკოვიდან. რუსეთის ფედერაცია იტყობინება, რომ 13-14 ნოემბერს მოსკოვში გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთისა და მსოფლიო ნაკრების მატჩი. დაწესებულია სოლიდური ფულადი ჯილდო არა მხოლოდ გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის, არამედ, მონაწილეებისთვის, ე.ი. მათთვისაც კი, ვინც დამარცხდება. წაგებული მიიღებს... 3 ათას აშშ დოლარს.**

**საქართველოდან მსოფლიო ნაკრებში მიწვეულია ლუკა კურტანიძე, რევაზ მინდორაშვილი და ოთარ თუშიშვილი.**

**„ჯერჯერობით შევხვდი ლუკა კურტანიძეს. მსოფლიო ნაკრებში მიწვევას ჩვენი ფალავანი სიხარულით შეხვდა და მზადაა მიიღოს მონაწილეობა ტურნირში" – თქვა ო. შოშიტაშვილმა.**

# დანიაში – ჯობავა, აზერბაიჯანში – ჯავახიშვილი



ქართველი მოჭადრაკეები სხვადასხვა ტურნირებში რეგულარულად მონაწილეობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ასე მაგალითად, დანიის ქალაქ სკანდებორგში გამართული შეჯიბრება „სამბას თასზე" ბაადურ ჯობავამ მოიგო, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ რუსი არტემ ტიმოფეევი, პოლონელი კამილ მიტონი, ჩინელი პენსიანკი და კუბელი ლასარო ბრუსონი.

აზერბაიჯანის ქალაქ შაქში გამართულ მოჭადრაკე ქალთა ტურნირში კი ორი ქართველი მონაწილეობდა — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და ლელა ჯავახიშვილი. 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით ჯავახიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა. მან ნახევარი ქულით გაუსწრო რუს ეკატერინა კოვალევსკაიას. 5 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ნონა გაფრინდაშვილმა.

# მსაჯთა სემინარი მოლდოვაში

ორიოდე დღის წინ, მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვიდან დაბრუნდნენ სფფ-ს სამსაჯო — საინსპექტორო კომიტეტის თამჯდომარე **ანატოლი მილჩენკო** და ფეხბურთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი მენეჯერი **ავთანდილ შალამბერიძე,** ისინი ფიფას პროგრამა „ფუტურო-3"-ის ეგიდით გამართულ მსაჯების და ასისტენტების ინსტრუქტორთა სემინარში მონაწილეობდნენ. სემინარი ფიფას მოსკოვის ფილიალის დსთ-ს ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა კურატორის **ვალერი ჩუხრის** მიერ იყო ორგანიზებული, სასემინარო ლექციებს კი წარსულში ცნობილი მსაჯები, ფიფას მსაჯთა მომზადების ინსტრუქტორი **ხუან მარინი** და ფიფას მსაჯთა კომიტეტის წევრი **ვიქტორ პერეირა** უძღვებოდნენ. მოლდოვური ვიზიტი ნაყოფიერი იყო. ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. გამჟღავნდა ბევრი სიახლე. მონაწილეებს დაურიგდათ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელშიც დაწვრილებითაა განმარტებული მსაჯობასთან დაკავშირებული სიახლეები და უახლოეს ხანში ქართულადაც ითარგმნება. რა თქმა უნდა, ყველაფერ ახალს ჩვენი მსაჯებიც გაეცნობიან.

საქართველოს სამხარეო, საქალაქო და რაიონული სპორტული ორგანიზაციებიდან გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე განცხადებების გამოქვეყნებისათვის, ანგარიშსწორების გაიოლების მიზნით, შესაბამისი თანხა შეიძლება გადაირიცხოს პირდაპირ გაზეთის ანგარიშზე: გქბ მთაწმინდის ფილიალი ანგ №016467589; კოდი: 220101666 საინდ. კოდი: 203826075. შეიძლება თანხის ავანსად ჩარიცხვაც.

განცხადების გამოქვეყნების თაობაზე შეტყობინება მიიღება ტელეფონებით: 99-56-14, 98-23-94; 899.55-48-97.

გამოიწერეთ ლელო 2006 წლისათვის

# განაჩენი საბოლოოა...
## სპორტის აკადემიამ კორტები დაიბრუნა, ჯერი სხვა ბაზებზეა...

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია თავისი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე არასდროს ყოფილა ისე ფხიზლად, როგორც ეს ბოლო ხანებშია. ეს რექტორატის (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დურმიშხან ჩიტაშვილი) და სტუდენტთა კავშირის (თავმჯდომარე მამუკა მაღლაკელიძე) კოორდინირებული მუშაობის შედეგია უპირველესად. აკადემიაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სტუმრობამ და მისმა პოზიციამ ამ უმაღლესი სასწავლებლისათვის უსამართლოდ წართმეული სპორტული ობიექტების ბედთან დაკავშირებით, სტიმული მისცა სტუდენტებს აკადემიის მიტაცებული ქონების დაბრუნების ინიციატორები თავად გამოსულიყვნენ. სასწავლებლის გამოცდილმა იურისტმა იმედა ხუციშვილმა ყველა დოკუმენტი მოიძია და აი უზენაესმა სასამართლომ პირველი განაჩენი გამოიტანა – ჩოგბურთის კორტები აკადემიას დაუბრუნდა, განაჩენი კი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასწავლებელმა დაიბრუნა ნიჩბოსნობის დარბაზიც.

„აკადემიის სპორტული ბაზები, ჩვენთვის სასწავლო ლაბორატორიაა, ჩვენ ისინი აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ" – განაცხადეს გუშინწინ სპორტის აკადემიის სტუდენტებმა საგანგებოდ ამ საკითხთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე. ეს პრესკონფერენცია გაიმართა აკადემიის საცურაო აუზზე, რომელიც ერთ-ერთმა ფირმამ აიღო იჯარით, კეთილმოაწყო და სტუდენტების სამსახურშიც ჩააყენა – გამოინახა ცივილური ურთიერთობის გზა. არავითარი პრეტენზია ამ ბაზის მიმართ არ არსებობს. მაგრამ გაურკვეველია სასწავლებლის საფეხბურთო მოედნის საკითხი. ეს ბაზა თავის დროზე იჯარით 25 წლის ვადით გაუციათ ... ღიმილისმომგვრელი გადასახადით, სულ რაღაც 2 ათასი ლარის საფასურად წელიწადში, თანაც არც ამ თანხას იხდიან. რაც მთავარია, არ სრულდება სახელშეკრულებო პირობები და მოიჯარადე მხოლოდ თავის სასარგებლოდ წარმართავს ბაზის ექსპლოატაციას. პრესკონფერენციაზე ილაპარაკეს ბაკურიანის ბაზაზეც, რომელიც ათეული წლების განმავლობაში წარმოადგენდა აკადემიის სასწავლო ცენტრს. 12 ათასზე მეტი კვადრატული მეტრიდან აკადემიას ამჟამად ბალანსზე დარჩა მხოლოდ 240 კვმ. ამ მინიმალური ფართით კი შეუძლებელია სრულფასოვანი სასწავლო პროცესის ჩატარება. დაუფარავად ითქვა, რომ ბაკურიანში ამ ობიექტის გასხვისებაში ბორჯომის გამგებელს გიორგი ტალახაძეს პირადად მიუძღვის ბრალი, მეტიც – თავად შეუძენია.

ასევე უკანონოდ ჰქონია შეძენილი სპორტის აკადემიის საერთო საცხოვრებლის სარდაფის სასარგებლო ფართი სოსო ადეიშვილს, რის დაბრუნებასაც აკადემია სასამართლო გზით აპირებს.

სპორტის აკადემიის სტუდენტები და თანამშრომლები მადლობლები არიან მათი ინტერესებისათვის ბრძოლაში კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტის თანადგომის.

– კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არავის არაფერს დავუთმობთ, დადგა მიტაცებულის დაბრუნების დრო და ამ პროცესს ბოლომდე მივიყვანთ – ასეთი იყო პრესკონფერენციის სულისკვეთება.

ლაშა ბოგუაძე.

მოსაზრება

## ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენება გამოსავალი არაა

საბჭოთა პერიოდში ქართული სპორტი, როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში უდიდეს წარმატებებს აღწევდა. ამიტომაც საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც მოწინავე სპორტული ქვეყანა. მაგრამ ეს იყო წარსულში. დღევანდელი ქართული სპორტის არასახარბიელო მდგომარეობა, არამხოლოდ სპორტის გულშემატკივრებისათვის, არამედ, მთელი საქართველოსათვისაა (ალბათ, მის გარეთაც) ცნობილი. სამწუხაროა, რომ არ ჩანს აღნიშნული ვითარებიდან გამოსვლის, მაღალპროფესიულ დონეზე შემუშავებული სახელმწიფო პროგრამა, სადაც დასახული იქნებოდა, ვითარებიდან გამოსვლის რეალური გზები. დღევანდელი სპორტის მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, სამართლიანად სახელდება არასაკმარისი დაფინანსება. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ **არსებული დაფინანსების პირობებშიცაა შესაძლებელი უკეთ მუშაობა, უკეთესი სპორტული შედეგების მოპოვება,** მაგრამ ამისათვის აუცილებელია ვისწავლოთ მაღალ პროფესიულ დონეზე მუშაობა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სპორტის შემსწავლელი მეცნიერებების უახლესი მიღწევები. დასამალი არაა, რომ ქართული სპორტის, როგორც მაღალ,

იხ. მე-4 გვ.

## კიდევ ერთი საჩხერელი რეკორდსმენი?

ამჯერად გინესის წიგნში შესატან რეკორდულ მიღწევაზე გვაქვს საუბარი და სრული რეალობაა, წერილის სათაურს, კითხვის ნიშნის ნაცვლად, ძახილის ნიშანი დაესვას, თუ 19 წლის საჩხერელ ჭაბუკს, უჩა შუბითიძეს დახმარებას გაუწევენ კეთილი ადამიანები 2 ათასი დოლარის შეგროვებაში.

ამ რაოდენობის თანხაა საჭირო უჩას რეკორდული მაჩვენებლის სპეციალური კომისიის მიერ დაფიქსირებისა და მსოფლიო მაშტაბებით ინფორმაციის გავრცელებისათვის.

რაც შეეხება თვით რეკორდს, ერთი შეხედვით ფიზიკურად არაფრით გამორჩეულ უჩას შეუძლია, დგომულა, გადაადგილებისა და შესვენების გარეშე, 20 ათასჯერ ასწიოს ხელებით ორკილოგრამიანი ჰანტელები, რაც მთლიან ჯამში 80 ტონას შეადგენს და პროცესი 6 საათს გრძელდება.

ძალა რომ შესწევს ქადილისა და ეს მაჩვენებელი მისთვის ზღვარი არ არის, უჩამ ჩემი ინიციატივით გამართულ საჩვენებელ შეხვედრაზეც დაადასტურა.

ამ სენსაციურმა მოვლენამ ძალიან დააინტერესა ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე, თუმცა, მოუცლელობის გამო შეხვედრაზე დასწრება ვერ მოახერხა.

არავითარი მწვრთნელი, არავისგან მითითება – უჩამ თავისით დაიწყო ვარჯიში და ისე გაიტაცა სიმძიმესთან და დროსთან ჭიდილმა, რომ შესაძლებლობების დემონსტრირება ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცა.

- არის რაიმე დამატებითი ატრიბუტი საჭირო ამხელა დატვირთვის გასაძლებლად?
- ბევრი არაფერი. აუცილებელია რამდენიმე ახლობელს ვხედავდე. მათზე?

გადამაქვს ყურადღება პირველი ორი საათის განმავლობაში. დანარჩენ ორ საათს, ჩვევად და აუცილებლობად გადამექცა, მუსიკას ვუსმინო. ასე, რომ ჩემი მიღწევის თანამოზიარებად ვთვლი ემინემს და ნინი ბადურაშვილს – ამბობს უჩა. მისი მიღწევების შესახებ ინფორმირებულია საქართველოს გინესის ლონდონის შტაბის წარმომადგენელი, პროფესორი გვანჯი მანია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას შეუდარებია უჩას მიღწევა სხვების ანალოგიურ მაჩვენებლებთან და ღირსად უცვნია იგი გინესის წიგნში შეტანისათვის. საჩხერელი ჭაბუკის საამისო ოცნების ასრულებას სწორედ ზემოხსენებული თანხის უქონლობა ეღობება წინ. თუ ვინმე სიკეთეს გამოიჩენს, საქართველოს კიდევ ერთი საჩხერელი რეკორდსმენი ეყოლება, თუ არა და...

ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

თამაზ ლაშხი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საჩხერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი

## მხოლოდ შედეგები



**ძიუდო.** საქართველოს პირველობა. 23 წლამდელთათვის. დიღმის საჭიდაო კომპლექსი. პირველობა წინ უძღოდა ამავე ასაკში ევროპის პირველობას, რომელიც ჩატარდება კიევში 19-20 ნოემბერს.

**კვარცხლბეკი. 60 კგ:** 1. დავით სვიმონიშვილი (საგარ), 2. ბეთქილ შუკვანი, 3. ლაშა ტვილდიანი და ლევან ქოჩიევი (სამივე — თბ); **66 კგ:** 1. მიხეილ ხომიზური, 2. გიორგი შოშიაშვილი (ორივე — თბ), 3. გიორგი ხარშილაძე (გორი) და დავით უძილაური (თელავი); **73 კგ:** 1. ოთარ ახალაია (ზუგ), 2. დავით კობერიძე (თბ), 3. ბექა ბაიდაური (ახმ) და დავით ხაბულიანი (წყალტ); **81 კგ:** 1. საბა გავაშელიშვილი (დედ. წყ), 2. ხვიჩა ხუციშვილი (თბ), 3. დავით გობეჯიშვილი (საგ) და გიორგი ბაინდურაშვილი (თბ); **90 კგ:** ლომერი ქორქოლიანი (მარნ), 2. ბესიკ ტყემალაძე, 3. გიორგი ცოციაშვილი (ორივე — თბ) და სოსო მსხალაძე (გორი); **100 კგ-მდე:** 1. რევაზ ჩიკოიძე, 2. ლევან რაზმაძე, 3. შოთა თურმანიძე (სამივე — თბ) და ფრიდონ აბულაძე (თელავი); **+100 კგ:** 1. ადამ ოქრუაშვილი (თბ), 2. გიგა გუბელაძე (ქუთ), 3. ლევან ქინქლაძე (ახმ) და ზაზა ბალაშვილი (თელავი).

**ანზორ მარტყოფლიშვილი, ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი.**

# მემორიალი მეთვრამეტედ!

საქართველოს სპორტის აკადემიის კორტებზე დასრულდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის არჩილ ელერდაშვილის მე-18 მემორიალი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში 80-მდე მოზარდი ჩოგბურთელის მონაწილეობით. შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის წარმომადგენლები.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.**

**10 წლამდელები. გოგონები:** 1. ქეთი მებუკე, 2. თამარ ქადაგიძე, 3. ლანა როსტიაშვილი და ნინო უდრელიძე; **ბიჭები:** 1. ნიკა იორდანიდი, 2. ბექა მინდიაშვილი, 3. ლევან ბუკუვიშვილი; **12 წლამდელები. გოგონები:** 1. ნინო სუჯაშვილი, 2. თამარ კომახიძე, 3. მარიამ ზაუტაშვილი; **ბიჭები:** 1. გიგი იორდანიდე, 2. სანდრო დავლიანიძე, 3. ნიკა ციციშვილი; **14 წლამდელები. გოგონები:** 1. ნინო მებუკე, 2. გვანცა რობაქიძე, 3. ნინო ჩხაიძე; **ბიჭები:** 1. დავით ხუციშვილი, 2. გუგა პაპაშვილი, 3. არჩილ ცენტერაძე; **16. წლამდელები. გოგონები:** 1. ნაილი თაბუნიძე, 2. თათია კახელიშვილი, 3. სალომე უგრეხელიძე.

**არტემ მალაიანცი,**



**შეჯიბრების მთავარი მსაჯი. გამარჯვებულები და პრიზიორები, ორგანიზატორებთან ერთად. ფოტო რობერ ბაგოიანისა.**

## მშვილდოსნობა. საქართველოს თასი
## ისევ აჭარა ლიდერობს...



ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი ხანდახან თავს შეგვახსენებს ხოლმე, როგორც ... სპორტული ბაზა და არა მხოლოდ ფეხბურთელთა საასპარეზო. როგორც ადრე იყო, ხანდახან აქ სპორტის სხვა სახეობებში იმართება შეჯიბრებები. ამ დღეებში „დინამოს" სარბიელზე მშვილდოსნებმა გამართეს ასპარეზობა — გათამაშდა საქართველოს თასი.

სეზონის ამ დამაგვირგვინებელ შეჯიბრებაში 23 მონაწილე ჩაება — ყველაზე მეტი — აჭარიდან (14), თბილსიდან (6), ქუთაისიდან (2) და აფხაზეთიდან (1).

საქართველოს თასს ქალთა ასპარეზობაში დაეუფლა გამოცდილი ჩუბინი ბათუმელი ხათუნა ნარიმანიძე, რომელმაც ფინალში 100:98 სძლია თანაგუნდელ ასმათ დიასამიძეს. მესამე იყო — თბილისელი ია ტალახაძე (მოუგო ბათუმელ ირინა კირიჩენკოს 99:91).

ვაჟთა ტურნირშიც ბათუმელმა ტარიელ ქადაგიძემ იმარჯვა გამოცდილ თბილისელ ალექსი კაპიტონოვთან შეხვედრაში — 105:102. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ორი ბათუმელი შეხვდა ერთმანეთს — ვლადიმერ ბოლქვაძემ 104:84 აჯობა გელა ძნელაძეს.

# მეთერთმეტე...

*ქართული სპორტის ისტორიას სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის უჩინარი მსახურნი და ამ სფეროს თავკაცები ერთობლივად წერენ. „ლელო" კი 1934 წლიდან აფიქსირებს ამ ისტორიას. ასე იქნება მომავალშიც.*

*ამჯერად გამოსაცემად მზადდება წიგნი „მეთერთმეტე"... რომლის ცალკეული თავების გამოქვეყნებას „ლელოში" ვაგრძელებთ.*

## ოლიმპიურ სოფელში სპორტსმენებთან ერთად

2004 წლის ოლიმპიური თამაშები, რიგით მესამე იყო დამოუკიდებელი საქართველოსთვის. წინა ოლიმპიადებისაგან განსხვავებით, თავჩენილი პრობლემების მიუხედავად, ათენისთვის მზადება მაინც გამორჩეული იყო ორგანიზაციულად. არ ჩავარდნილა არც ერთი სალიცენზიო ტურნირი — ჩვენი ათლეტები ყველგან მონაწილეობდნენ და, ბუნებრივია, სანუკვარი საგზურის მოსაპოვებლად თავს არ ზოგავდნენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ზოგჯერ ისეთ ტურნირებშიც აძლევდნენ გამოსვლის შესაძლებლობას ჩვენ სპორტსმენებს საქართველოს სპორტის მესვეურები, სადაც ლიცენზიის მოპოვების ალბათობა მინიმალური იყო.

შანსის გამოყენების მცდელობა კარგ ნიშნად მოინათლა. მწვრთნელები და მათი შეგირდები აღფრთოვანებულები დარჩნენ ამ გადაწყვეტილებით. ის, რაც მანამდე შეუძლებელი იყო, ახლა რეალობად იქცა. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ოლიმპიური ფონდი ფინანსურ სახსრებს ათენში საქართველოს ღირსეულად წარმოსაჩენად არ იშურებდა.

ოლიმპიადისთვის მზადების პარალელურად კვლავაც ინტენსიურად მიდიოდა მუშაობა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და ათენში ოლიმპიადის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტთან. მთავარი ამოცანა, მაინც ჩვენგან რაც შეიძლება მეტი სპეციალისტის მოხვედრა იყო მსაჯთა კორპუსში და საერთაშორისო წარმომადგენლობით ორგანოებში.

ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე ქართული სპორტის ხელმძღვანელებმა დანამდვილებით იცოდნენ, რომ საქართველო სოლიდურად იქნებოდა წარმოდგენილი 28-ე საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე თავისი მსაჯებით, დელეგატებით და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებით.

მკაცრი შერჩევის შედეგად, ათენში ოლიმპიური ტურნირების სამსაჯოდ მიწვეულნი იყვნენ ჭიდაობაში — ედიშერ მაჩაიძე და თემურ ყაზარაშვილი, ტანვარჯიშში — ომარ ლონლაძე, თანამედროვე ხუთჭიდის მოფარიკავეთა შეჯიბრებაზე — დავით სახვაძე; შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურების მმართველ ორგანოებში შედიოდნენ გოჩა ძასოხოვი — საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და ლევან ახვლედიანი — ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, რამაზ გოგლიძე — ბეისბოლისა და სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ირაკლი მეძმარიაშვილს კარგად ესმოდა, რომ პირად კონტაქტებს და ალალ ადამიანურ ურთიერთობებს ყოველთვის მოაქვს სასურველი შედეგი. არც ამ შანსის ხელიდან გაშვება შეიძლებოდა და მან მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება — ათენში ოლიამპიადის დღეებში ეცხოვრა არა ფეშენებელურ სასტუმროში, როგორც მაღალი რანგის სპორტულ ხელმძღვანელს, არამედ დაბინავებულიყო ოლიმპიურ სოფელში. მართალია, იქ საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი, მსოფლიოში ცნობილი ფალავანი ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი იყო, ირაკლი მეძმარიაშვილს სულაც არ უგრძნია უხერხულობა ოლიმპიურ სოფელში სპორტის დეპარტამენტში თავისი პირველი მოადგილის „ქვეშევრდომი" ყოფილიყო. თავმჯდომარეც ისევე ემორჩილებოდა რეჟიმს და მისიის ხელმძღვანელის მოთხოვნებს, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. ირაკლი მეძმარიაშვილი ამით ამაყობდა კიდეც. ასეთმა დამოკიდებულებამ ჩვენს დელეგაციაში უაღრესად მეგობრული და სასურველი ფსიქოლოგიური ატმოსფერო დაამკვიდრა, რაც სულაც არ არის უმნიშვნელო ისეთ მასშტაბურ და საპასუხისმგებლო კომპლექსურ სპორტულ ფორუმზე, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები.

რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება? ამ კითხვაზე ირაკლი მეძმარიაშვილმა ასე უპასუხა: „ვფიქრობ, ეს სპორტსმენების ერთგვარი გამხნევებაც იქნება. სპორტული ცხოვრებით საკმაოდ დიდხანს მიცხოვრია და არ გამიჭირდება. თანაც, ვიცი სპორტსმენებს კონკრეტულ მომენტში რა სჭირდებათ — შეძახება, გამხნევება და სხვა. ისე, ოლიმპიურ სოფელში ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მსაჯებთან სათანადო მუშაობაცაა. მჯერა, ოლიმპიადაზე აუცილებლად მოვიპოვებთ ოქროს მედალს, მაგრამ რამდენს, ან რომელ სახეობებში, ამაზე ლაპარკი ნაადრევია".

ხელმძღვანელის განწყობას, მით უფრო სპორტში, და მით უფრო „ბრძოლის" წინ, შეუძლია აამაღლოს ან დააქვეითოს საერთო სულისკვეთება. გააჩნია დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე თუ უარყოფითთან. მაშინ, როცა ირაკლი მეძმარიაშვილი საოლიმპიადოდ ყველას ოპტიმიზმს უნერგავდა, ერთი ხანობა, ლამის თავად გადაეშვა პესიმიზმში. კიდევ კარგი, ასე არ მოხდა, რაც მის სულიერ სიმტკიცეზე მეტყველებდა. საქმე იმაშია, რომ შეუპოვრად ვრცელდებოდა ხმები თანამდებობიდან მისი გადაყენების თაობაზე. მოსალოდნელი ყველანაირი შედეგი იყო. ფაქტობრივად, განმეორდა 2000 წლის წინასაოლიმპიადო სიტუაცია, როცა თანამდებობის დატოვება კახი ასათიანსაც ემუქრებოდა. ასათიანმა მაშინ თავად მიაკითხა ქვეყნის პრეზიდენტს და გადადგომა ითხოვა. კახი ნებით მიდიოდა პოსტიდან. „საკითხს განვიხილავთ ოლიმპიადის შემდეგ" — ასეთი პასუხი მიულია პრეზიდენტისგან. ალბათ, სწორიც იყო. კრიტიკულ მომენტში, ოლიმპიადის წინ, ასეთი ცვლილება კარგ შედეგს ნამდვილად არ მოიტანდა.

ირაკლი მეძმარიაშვილისთვის ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი ხელმძღვანელობიდან არავის უთქვამს, რომ მისი წასვლის დრო დადგა. ძნელი მისახვედრი არ იყო, ამ შემთხვევაშიც ჯერ ოლიმპიური თამაშები იყო მოსასტუმრებელი...

თენგიზ გაჩეჩილაძე.

გაგრძელება იქნება.

დასაწყისი იხ. „ლელო" №67-83.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, კრივში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ძმის

მერაბ მესხაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, კრივში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ძმის

მერაბ მესხაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ევროპის 2003 წლის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონს მამუკა ტუღუშს მამის

ოლეგ ტუღუშის

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა ოზურგეთში, 1 ნოემბერს.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №30 (44) ოქტომბერი. 2005 წელი


# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია მომავალ თაობაზე ზრუნვას საბავშვო ბაღიდან დაიწყებს





ქვეყნის ძლიერებას ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი პიროვნებები სჭირდება. ასეთ მომავალი თაობის აღზრდის საუკეთესო საშუალება სპორტი და ხელოვნებაა. საბრძოლო ხელოვნება, კარატე კი ალბათ ერთად-ერთი საუკეთესოა, რომელსაც ისეთი მომავლის მიცემა შეუძლია, როგორიც ჩვენ, საქართველოს გვჭირდება და შეგვეფერება.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ კიდევ ერთი ახალი და ფრიად საინტერესო პროექტის განხორციელებაზე დაიწყო ზრუნვა. ეს არის საქართველოში მებრძოლი სულის აღორძინების უნიკალური პროექტი, რომელსაც საქართველოს სპორტის დეპარტამენტთან ერთად ანხორციელებს. სწორედ ამ დიდ პროექტთან ერთად, პარალელურად, სრულიად ახალი და ორიგინალურ-უნიკალური პროექტის განხორციელებას დაიწყებს. ეს არის სკოლამდელი ბავშვების (ბაგა ბაღის) აღსაზრდელებში კარატეს საფუძვლების დანერგვა, რომელიც მებრძოლი სულის, სამშობლოს სიყვარულის და პატრიოტიზმისა და უანგარო სიკეთის კეთებას ითვალისწინებს. ბავშვის ასეთი მეთოდებით აღზრდა სრული ჰარმონიის საფუძველია. ამას კი გაგრძელებაც შემდეგ უკვე მოზარდ ასაკში მიმდინარეობს. ასეთი პატრიოტული იდეოლოგიით კარატეს სამშობლო, იაპონია და მსოფლიოს არაერთი წამყვანი ქვეყანა საკმაოდ წარმატებულად სარგებლობს და შედეგსაც საუკეთესოს აღწევენ.

გუშინ, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია და თბილისის 27-ე ბაგა ბაღის დირექტორი ქალბატონი ნანა მაღალაშვილი ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ პროექტის ფარგლებში 'მებრძოლი სულის აღორძინება საქართველოში" ითანამშრომლებენ შესაძლებლობებისდა მიხედვით. შეხვედრაზე ქალბატონმა ნანამ თავისი დამოკიდებულება აღნიშნა კარატეს მიმართ: 'მე მოხარული ვიქნები, თუ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ამ დიდად პატრიოტულ პროექტს ჩვენს ბაგა ბაღში განახორციელებს პირველად. ჩვენ ყველანაირად ხელს შეგიწყობთ თქვენ, მითუმეტეს, რომ მე უკვე კარგად ვიცნობ თქვენს ერთერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ბატონ ვაჟა კრიჭაშვილს. მასთან წლები მაკავშირებს, ამიტომაც და კარატემ და თვითონ იმდენად დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, რომ უარის თქმა არ შემიძლია. მჯერა, რომ თქვენ ნამდვილად ჭეშმარიტ და მამულიშვილურ საქმეს აკეთებთ, ამიტომაც მივესალმები ამ დიდებულ წამოწყებას".



„რაც შეეხება საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას, ჩვენ უკვე წლების განმავლობაში ვანხორციელებთ უფასოდ ჩვენი მომავალი თაობის ჯანსღად აღსაზრდელად ამ პროექტს, რომელშიც დღეს საკმაოდ აქტიურად არის ჩართული სპორტის დეპარტამენტი, დავით ნამგალაურის უშუალო ხელმძღვანელობით უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი პრაქტიკა თავად იაპონელებსაც კი აქვთ დანერგილი საკუთარ ქვეყანაში. იაპონიის რეკომენდაციით მსოფლიოს არაერთმა წამყვანმა ქვეყანამაც აიღო ეს მაგალითი და სადღეისოდ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ბავშვების ვაჟკაცური, მებრძოლი პრინციპებით აღზრდა. კარატე უნიკალური სისტემაა ბავშვის სწორ გზაზე დასაყენებლად, მისი სწორად ცხოვრების თვის. იგი ძალიან მოკლე დროში მიიღებს საკუთარი თავის რწმენას, ფიზიკურ და სულიერ ძალას, ჩამოუყალიბდება ნათელი და მობილიზებული გონება. ბავშვისთვის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების ჩამოსაყალიბებლად საბავშვო ბაღის ასაკი უნიკალურია და ჩვენც სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ პროექტის განხორციელება, რასაც იაპონიის ბრწყინვალე მაგალითიც თან დაერთო. ქალბატონო ნანა, თქვენი ბაღი პირველი იქნება, ვინც ამ გიგანტურ და მართლაც საქართველოს მომავლის პროექტში მიიღებს მონაწილეობას. ამის შემდეგ კი შევეცდებით, რომ ეს პრაქტიკა საქართველოს ყველა საბავშვო ბაღში დაინერგოს და უფრო მასშტაბური და ეფექტური გახდეს. მე სიამოვნებით დავასახელებ პირველ ინსტრუქტორს, რომელიც ამ პროექტს ერთერთი პირველი მიცემს რეალიზაციას და ვფიქრობ წარმატებულადაც, რადგან მას უზარმაზარი გამოცდილება და საკმაოდ მაღალი ოსტატობის დონე აქვს. ეს იქნება თქვენთვის და ქართული სპორტისა და ხელოვნების მოყვარულთათვის საკმაოდ კარგად ცნობილი პიროვნება ვაჟა კრიჭაშვილი".

შეხვედრის ბოლოს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ, ბაგა ბაღის ყველაზე უფროს და სათნო აღმზრდელს იაპონური ტანტო (სწამურაის მოკლე ხანჯალი) უსაჩუქრა მეგობრობისა და მომავლის პროექტის სტარტის აღსანიშნავად.



პირველ ადგილზე ქეთინო გოგბერაშვილი (ვაჟა კრიჭაშვილის შეგირდი)

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

## საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით გთავაზობთ პროგრამას

## საქართველოს ჯანსაღი მომავალი — "მებრძოლი სულის აღორძინება საქართველოში"

პროგრამის განხორციელებისათვის ფედერაცია აცხადებს მსურველთა მიღებას კარატე-დოს შემსწავლელ უფასო ჯგუფებში. მსმენელებს ჩაუტარდებათ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. ფედერაცია სისტემატიურად ატარებს სემინარებს და ატესტაციებს მსოფლიოს წამყვანი ოსტატების ხელმძღვანელობით.

მოსწავლეებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ტურნირებში. ფედერაცია ზრუნავს პროგრამის მონაწილეების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებასა და მათ შემდგომ დასაქმებაში საქართველოსა და უცხოეთში. წინ წასული მოსწავლეები გაივლიან სპეციალურ კურსს, რომელიც საშუალებას მისცემთ მიიღონ საბრძოლო ხელოვნებაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საერთაშორისო დიპლომი. მეცადინეობას უძღვებიან საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრების წევრები, ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას ხელმძღვანელობით.

*თბილისი, დ. უზნაძის ქუჩა №6. ტელ: 96-31-89.*
***WWW. karate.ge***

*საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.*



ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი



საუკეთესო ხარისხის კარატეს კიმონოები და საბრძოლო ხელოვნების ინვენტარი

*თბილისი, დ. უზნაძის ქუჩა №6. ტელ: 96-31-89.*
*საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.*

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

空手道

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

## ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენება გამოსავალი არაა

მეორე გვერდიდან

ისე დაბალ ეშელონებში, პროფესიონალიზმი მეტ-ნაკლებად მოიკოჭლებს. ამიტომ ჩვენთვის გასაგებია თუ რატომ არავინ ეხმიანება სპორტის სპეციალისტთა წინადადებებს, რომლის ერთადერთი მიზანი ქართული სპორტისათვის დახმარების გაწევაა. წინადადებები საგაზეთო წერილების სახით მიეწოდა და მიეწოდება საზოგადოებას. ამასაც არ დავჯერდით და პირადად მოვინახულეთ სპორტის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი (განგებ არ ვასახელებთ მათ გვარებს, რადგან იქნებ წინამდებარე წერილზე მაინც მოახდინონ სათანადო რეაგირება). სიტყვით, ყველა მათგანმა მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებებს, რომელთა რეალიზება გამოაცოცხლებდა ჩვენში სპორტულ ცხოვრებას, ამაღლდებოდა სპორტული მიღწევები, რაც ასე სჭირდება ჩვენს ხალხს ეროვნული თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. რატომღაც გავურბივართ სიახლეებს, ახლებურ ხედვას და მიდგომებს, რაც, რა თქმა უნდა, მოითხოვს სათანადო ცოდნას და შინაგანი ენერგიის უშურველ ხარჯვას. ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებულად, დაუმსახურებლად ვანიჭებთ უპირატესობას უცხოურს, მაშინ, როდესაც საბჭოთა სპორტში მრავალი სიახლე საქართველოდან ილებდა სათავეს, მარტო ის რად ღირს, რომ სპორტული სკოლების დაარსების ავტორი ქართველი გახლდათ. ქართულ სპორტში ქვის ხანის დროინდელი მეთოდებით მუშაობა, ცხადია, სიკეთეს არ მოიტანს და არც მოიტანა. ჩვენი მწვრთნელების ზოგიერთი ნაწილი ჩამორჩა სპორტის განვითარების ტემპს, ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რამაც სავალალო შედეგები მოიტანა. კატასტროფულად დაეცა სპორტული შედეგები, განსაკუთრებით, სპორტის პრიორიტეტიულ სახეობებში. ჯოხი, რა თქმა უნდა, მწვრთნელებზე გადატყდა, მაგრამ არავის გაახსენდა, რომ მწვრთნელის მუშაობასაც პერიოდულად შემოწმება და დახმარების გაწევა სჭირდება, რაც რამდენადმე თავიდან აგვაცილებდა უსიამოვნებებს. ბოლოს და ბოლოს, დადგა საკითხი ეროვნული ნაკრები გუნდების, ზოგიერთი უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, რაც, უდავოდ, შეცდომად მიგვაჩნია. ეს არაა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. მთავარმა მწვრთნელებმა, წლების მანძილზე ნაკრებ გუნდებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს, რისი გონივრული გამოყენება მომავალი წარმატებების საწინდარი შეიძლება გახდეს. ასეთი მწვრთნელებისათვის (და არა მარტო მათთვის) ორგანიზებული უნდა იქნას კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სადაც მუშაობა უნდა წარიმართოს არა საბჭოთა პერიოდის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებით, რომელთაც მრავალი ხარვეზი გააჩნია, არამედ ისეთი პროგრამებით, რომლებიც რეალობასთან იქნება მიახლოებული და რომელშიც ასახული იქნება სპორტის შემსწავლელი მეცნიერებების უახლესი მიღწევები, რომლებიც ეხება ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ, თეორიულ და ფსიქოლოგიურ მომზადებას. გარდა აღნიშნულისა მსმენელებს უნდა მივაწოდოთ სიახლეები შეჯიბრებისა და სპორტული გუნდების სოციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხებზე და ა.შ. რის გარეშეც ძნელია ერთ მუშტად შეკრული, მტკიცე, მეგობრული გუნდის ჩამოყალიბება.

კვალიფიკაციის ამაღლების ჩვენეული ვარიანტი სჭირდება არა მხოლოდ მწვრთნელებს, რომელთაგანაც ბევრს დამთავრებული აქვს არამაპროფილებელი უმაღლესი სასწავლებელი და ითვლება სხვა დარგის სპეციალისტად, არამედ — სპორტის აკადემიის დამთავრებულებსაც. ნუ გაგვინაწყენდება სპორტის ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელთაც არა აქვთ სპორტში პროფესიონალური ცოდნა, რადგანაც ისინი სხვა სფეროებში სამოღვაწეოდ ემზადებოდნენ, სხვა დარგების სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ, სპორტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე კი შემთხვევით აღმოჩნდნენ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთმა პირებმაც უნდა გაიარონ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს სპორტში შექმნილი ვითარების ობიექტურ ანალიზს, სწორი გადაწყვეტილებების გამოტანას და ცხოვრებაში მათ გატარებას, რაც, რა თქმა უნდა, წინ წასწევს ქართულ სპორტს.

**ბიჭი დვალი.**

# ვიყოთ კრიტიკული, მაგრამ იმედიანი...

როგორც იქნა დამთავრდა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის II ჯგუფში გამოდიოდა, სრული ფიასკო განიცადა — ჯგუფში შვიდ გუნდს შორის მხოლოდ VI ადგილი დაიკავა, აჯობა რა ბოლო, VII ადგილზე გასულ ყაზახეთის ნაკრებს, რომელმაც თავი იმით „გამოიჩინა", რომ თორმეტ ჩატარებულ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა აიღო და ისიც საქართველოს ნაკრებთან თბილისში გამართულ შეხვედრაში. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

საქართველოს ფეხბურთში შექმნილ ძალზე კრიზისულ და სავალალო მდგომარეობაზე ადრეც ბევრს ვწერდი, მაგრამ რომ იტყვიან, „შეაყარე კედელს ცერცვი"...

პირადად მე შეცდომად ვთვლი ქვეჯგუფში გახურებული ბრძოლის დროს, ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეცვლას. **ალენ ჟირესის** ნაცვლად **გაიოზ დარსაძის** დანიშვნამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გ. დარსაძე არსებული მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავს, რომ ეროვნულ ნაკრებში, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ფეხბურთელი ითამაშოს და ამას იმით ამართლებს, ახალგაზრდები გამოცდილებას მიიღებენ და მომავალში ქვეყნის ნაკრებ გუნდს გამოადგებიან. საერთოდ, თაობათა ცვლა კანონზომიერი და გარდაუვალია, მაგრამ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ეს უნდა ხდებოდეს გეგმიურად და თანმიმდევრულად, მონაცვლეობით და მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მზადყოფნით. არადა, ნაკრები გუნდის ერთბაშად და ტოტალურად გაახალგაზრდავების პროცესი არა მარტო მტკივნეულია, არამედ, ის დიდ დროს მოითხოვს. ბუნებრივია, ისმის კითხვა — საქართველოში სად შეიძლება მოიძებნოს ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელები? ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში ასეთი ფეხბურთელები ჯერჯერობით არ ჩანან და ისინი სანთლით საძებნელები არიან. ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელთა ფიზიკური, ტექნიკური და ფსიქოლოგიური მომზადების დონე ძალზე დაბალია, აგრეთვე თვალშისაცემია მათი ტაქტიკა და სათამაშო კლასი, და, რაც მთავარია, არავითარი აზარტი და ინტერესი არ იგრძნობა მათ თამაშში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ჩემპიონატის ადრინდელი ლიდერები — თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ტორპედო" ძალზე სუსტად თამაშობენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ ქართულ ფეხბურთში არავითარი პროგრესი არ იგრძნობა, პირიქით, მისი რეიტინგი სულ უფრო ეცემა და მსოფლიოში თავი არ გვაქვს გამოსაყოფი. ასე რომ, ქართული ფეხბურთის ამჟამინდელი მდგომარეობა ჩვენს მტრებს თუ გაახარებს.

საქართველოს ნაკრების გამოსვლებმა 2005 წლის 26 მარტს თბილისში საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ, ხოლო 30 მარტს სტამბულში თურქეთის ნაკრებთან თამაშმა, რომლებიც შესაბამისად 1-3 და 2-5 წავაგეთ, თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ჩვენები ფეხბურთის ყველა კომპონენტებში მოიკოჭლებენ. სახელდობრ, ერთმანეთთან არ იყვნენ შეთამაშებულები, ერთმანეთს ვერ უგებდნენ, გუნდში არ იყო ორგანიზატორი — ლიდერი, რომელიც ვალდებული იყო სასურველი კალაპოტით წაეყვანა თამაში და, საერთოდ, გუნდი არ იყო სათანადო სპორტულ ფორმაში.

ჩვენი ნაკრების წარუმატებლობის აკორდად ითვლება კოპენჰაგენში დანიის ნაკრებთან გამანადგურებელი ანგარიშით — 1-6 წაგება 2005 წლის 7 სექტემბერს. ერთ თვეზე ცოტა ხნის შემდეგ, 12 ოქტომბერს ჩვენმა ნაკრებმა ათენში საბერძნეთის ნაკრებთან „საპატიო" ანგარიშით 0-1 წააგო, რაც დიდ დამსახურებად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ბერძენთა გერმანელმა მწვრთნელმა **ოტო რეჰაგელმა** თავს უფლება მისცა, რომ ქართველთა წინააღმდეგ გამოეყვანა გუნდი, რომელიც თითქმის მთლიანად სათადარიგო მოთამაშეებით ჰყავდა დაკომპლექტებული. ეს ხომ ჩვენი ფეხბურთის სრული იგნორირება და მისადმი ცინიკური დამოკიდებულებაა.

ძირშივე არასწორი, საფუძველს მოკლებული და დაუშვებელია, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ორ-სამდღიან შეკრებაზე იწვევს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საკლუბო გუნდებში გაბნეულ ლეგიონერებს, მწვრთნელი ვერ ასწრებს მათ სრულყოფილ შეთამაშებას, სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზების დაგეგმვას და სასტარტო შემადგენლობის დაზუსტებას. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ვერ ხერხდება საკონტროლო მატჩების ჩატარება გაცილებით მაღალი დონის გუნდებთან. მწვრთნელები ინფორმირებული არ არიან სრულყოფილად ამა თუ იმ ლეგიონერის ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მზადყოფნის შესახებ. მათთან მხოლოდ სატელეფონო საუბრებით, ან მასმედიის საშუალებებით გაგებული ინფორმაციები ზუსტ და სრულყოფილ წარმოდგენას ვერ მოგვცემს ლეგიონერების რეალურ მზაობაზე. მწვრთნელებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორ სპორტულ ფორმაში არიან და რა ტაქტიკურ სიახლეებს ფლობენ ჩვენი უშუალო მეტოქეები.

ადრე გაზეთ „ლელოში" (№30. 22-25 აპრილი, 2005 წ.) ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: „იმისათვის, რომ გადაწყდეს ინფორმაციული პრობლემები, საჭირო და აუცილებელი იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჰყავდეს ასისტენტ-მეთვალყურეთა საჭირო რაოდენობის კონტინგენტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა აწარმოებდეს დაზვერვით თვალთვალსა და შემსწავლელ დაკვირვებებს, აკეთებდეს ანალიზს და შესაბამის დასკვნებს, რის შედეგადაც წინადადებებს და რეკომენდაციებს უნდა აწვდიდეს ნაკრების მწვრთნელს. ყოველივე ეს არც ადრე და არც ამჟამად არ ხდება". ასე რომ, ზემოხსენებული სიტყვები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

საქართველოს ფეხბურთში უკვე კარგა ხანია დამკვიდრებულია ძალზე მცდარი და მიუღებელი ტენდენცია, საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი მიაღწევს რა რაღაც სპორტულ კონდიციას, მაშინვე კლუბებში იწყება ე.წ. „კომერციული საქმიანობა", იგივე ტენდერი და ჩაღდება ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების უცხო ქვეყნების კლუბებში გასხვისება-გაყიდვის კამპანია, რომლის დროსაც თავს იჩენს კორუფცია და ანგარებიანი საქმიანობა. დღემდე არავინ არაფერს ამბობს და არც დისკუსია გამართულა, თუ რას გვაძლევს ახალგაზრდა, პერსპექტიული და იმედისმომცემი ფეხბურთელების გასხვისება-გაყიდვა და მათი გამოსვლები ისეთ საფეხბურთო კლუბებში, როგორებიცაა რუსეთში — ვლადიკავკაზის „ალანია", როსტოვის სკა, იაროსლავის „შინიკი" და სხვა ქვეყნების კლუბები, რომლებიც სატურნირო ცხრილებში უკან-უკან მიჩანჩალებენ და არავითარ ამინდს არ ქმნიან საფეხბურთო სამყაროში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი გაყიდული ფეხბურთელი არა მარტო სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ზიან, არამედ, გუნდების განაცხადშიც კი არ არიან შეყვანილი. მიუხედავად ყოველივე ამისა, სიმართლე მაინც უნდა ითქვას, რომ მათი მატერიალური ანაზღაურება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში ჰქონდათ. არადა, დაძაბული სათამაშო პრაქტიკისა და სატურნირო მარათონში მონაწილეობის მიუღებლად, ისინი კარგავდნენ და კარგავენ ყველა დადებით მახასიათებლებს და სათამაშო კომპონენტებს, საერთოდ, სპორტულ ფორმას, რაც მათ ადრე გააჩნდათ.

ეს ყველაფერი ეჭვს ბადებს, ხომ არ ხდება ასეთი გზით მიზანმიმართულად და გეგმიურად ქართული ფეხბურთის დასუსტება და დაკნინება, რომ ამგვარად საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გამოაცალონ საყრდენი ფესვები, რომ მან დაკარგოს მაღალტექნიკური, პერსპექტიული, მზარდი ფეხბურთელები და ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები, რომელთა კონკრეტული გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ კიდევ ერთხელ ვსვამ სკითხს, რომ მომავალში ტრანსფერზე დასაყენებელ ფეხბურთელთა ასაკობრივ ცენზად დადგინდეს მინიმუმ 26 წელი.

აქვე დავუმატებ, რომ თუ ამჟამინდელმა ფეხბურთის ფედერაციამ თავისი სატრანსფერო საქმიანობა წინამორბედთა ანალოგიურად გააგრძელა, მაშინ საქართველოში ფეხბურთს უფსკრულში გადაჩეხვა და საბოლოო კატასტროფა ელოდება. ამიტომ ქართული ფეხბურთის მესვეურებს მივმართავ, რომ მათ გამოიჩინონ ეროვნული თვითშეგნება, პატრიოტიზმი ქვეყნისადმი და ქართველი ხალხისადმი. იყო დრო, როდესაც თბილისის „დინამოს" საქართველოს ნაკრების სახელით უთამაშია, თანაც დიდი წარმატებით, ირანის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ბირმის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების ნაკრებების წინააღმდეგ. არაფერს არ ვაკონკრეტებ იმაზე, რომ მოსკოვის ნაკრების (იგივე საბჭოთა კავშირის ნაკრების) შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილს იკავებდა. თვით საბჭოთა ნაკრებში დიდი წარმატებით და გამორჩეული სიძლიერით თამაშობდნენ ქართველი ფეხბურთელები, ფეხბურთის ნამდვილი დიდოსტატები და ვარსკვლავები.

დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ავთანდილ ღოღობერიძე და ავთანდილ ჭკუასელი.

1960 წელს პარიზში გამართულ ევროპის თასის პირველი გათამაშების ფინალურ მატჩში საბჭოთა ნაკრების გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვით ქართველ „ფარს" — **გივი ჩოხელს** და ნაკრების „ქართულ ფრთებს", იგივე „მახვილებს" — **სლავა მეტრეველსა და მიხეილ მესხს.**

1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი. 1965 წელს საბჭოთა ნაკრებ გუნდებში თბილისის „დინამოს" ყველაზე მეტი ფეხბურთელი ჰყავდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა დანარჩენ გუნდს. დიახ, 1965 წელს პირველ საკავშირო ნაკრებში თამაშობდნენ **მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, სერგო კუტივაძე, ვლადიმერ ბარქაია,** სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი. ოლიმპიურ ნაკრებში იყვნენ — **ვ. რეხვიაშვილი, გ. ხართიშვილი, ე. ხუციშვილი, ვ. ჭელიძე, ა. ილიადი და დ. ვეკუა,** ხოლო ჭაბუკთა ნაკრებში — **კ. ასათიანი...**

მიუხედავად ამისა, 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშეს მ. ხურცილავამ, გ. სიჭინავამ და ს. მეტრეველმა. მათ შეიძლება დავუმატოთ **ა. კავაზაშვილი,** რომელიც იმ დროს მოსკოვის „ტორპედოს" წარმოადგენდა საბჭოთა ნაკრებში. რატომღაც ნაკრების ხელმძღვანელობამ მიხეილ მესხი, რომელიც უბრწყინვალეს ფორმაში იყო, მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანა და მის ნაცვლად ხან **ჰუსაინოვს,** ხან კი **პარკუიანს** ათამაშებდნენ...

1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ა. კავაზაშვილი, **რ. ძოძუაშვილი,** მ. ხურცილავა, კ. ასათიანი და **გ. ნოდია...**

მინდა შევეხო ერთ მტკივნეულ საკითხს. ეს გახლავთ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთა ხშირი ცვლა. არადა, ამდენი მთავარი მწვრთნელი არსად არ შეცვლილა, რამდენიც საქართველოში. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნაკრების მთავარი მწვრთნელის როლში ვიხილეთ: **ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, იოჰან ბოსკამპი, ივო შუშაკი, ალენ ჟირესი.** აქვე გაგვახსენდა, რომ ერთ პერიოდში ნაკრების ხელმძღვანელობა თვით ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** იკისრა, მაგრამ მისი მოღვაწეობა ამ ამპლუაში ფუჭად დასრულდა. ისე გამოვიდა, რომ არც ერთ მთავარ მწვრთნელს ნაკრებთან ორ წელიწადსაც კი არ უმუშავია. არადა, ნებისმიერმა მწვრთნელმა გუნდში მინიმუმ სამ წელიწადზე მეტ ხანს უნდა იმოღვაწოს. თუ გადავხედავთ თბილისის „დინამოს" ისტორიას, მაშინ ლაფსუსამდე მივალთ, — გუნდის მთავარ მწვრთნელად რამდენჯერმე და სხვადასხვა წლებში იყვნენ: **ორეხოვი, ჟ. ლიმბეკი, ა.გალპერინი, ა. სოკოლოვი, ფილიპოვი, ბუტუსოვი, ა.ჟორდანია, ვ. სოკოლოვი, მ. მინაევი, მ. იაკუშინი, ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ა. კიკნაძე, გ. გაგუა, ნ. ჩხატარაშვილი, ა. ღოღობერიძე, ა. კოტრიკაძე, ვ. სოლოვიოვი, გ. ჩოხელი...** თუ შეატყობდნენ, რომ მათგან ზოგიერთები წარმატებებს აღწევდნენ, მაშინ სასწრაფო წესით ასეთ მწვრთნელებს თავიდან იშორებდნენ. ასე იყო ანდრო ჟორდანიას მიმართებაში, ასე იყო მიხეილ იაკუშინისა და გავრილ კაჩალინის მიმართ...

საერთოდ, არა მარტო ჩვენთან, არამედ, სხვა ქვეყნებშიც მწვრთნელების ხშირი ცვლა, ტრადიციულად, ამჟამადაც გრძელდება. არადა, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიიდან ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს 25 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ბებერ მელად" ცნობილი — **ზეპ ჰერბერგერი,** ხოლო შემდეგ ის ამ პოსტზე შეცვალა მისმა ყოფილმა თანაშემწემ **ჰელმუტ შიონმა,** რომელიც გფრ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 14 წელიწადი იმყოფებოდა.

უნდა გავიხსენოთ **ნოდარ ახალკაცის** ტრიუმფალური ეპოქა, რომელიც 1976 წელს დაიწყო. მან „დინამოს" შემადგენლობაში დააწინაურა ახალგაზრდა ფეხბურთელები, მათთან დაამყარა საქმიანი და კეთილი ურთიერთობა, მუშაობა წარმართა მაღალი ფიზიკური დატვირთვების, ტექნიკური მომზადებისა და თამაშის ახალი პრინციპების დანერგვა-ათვისებისაკენ. დაიწყო რა ნ. ახალკაცის სრული ჰეგემონია ქართული ფეხბურთის წინსვლაში, უკვე იმავე, 1976 წელს თბილისელებმა ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ზედიზედ მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. 1976 წელსვე ქართველმა ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს საკავშირო თასი, რომელიც მანამდე 40 წლის განმავლობაში ქართველ ფეხბურთელთა რამდენიმე თაობისთვის სანუკვარ ოცნებად რჩებოდა. 1977 წელს მოპოვებულ ვერცხლის მედლებს, მომდევნო, 1978 წელს, 14 წლის შესვენების შემდეგ საბჭოთა კავშირის ოქროს მედლები მოჰყვა, ხოლო 1979 წელს თბილისის „დინამომ" მეორედ მოიპოვა საკავშირო ბროლის თასი. ეს იყო ქართული ფეხბურთის დიდი წინსვლა, სრული აღმავლობა და ტრიუმფი. ნოდარ ახალკაცის თავკაცობით ქართველ ფეხბურთელთა წარმატებებმა აპოგეას მიაღწია 1981 წლის 13 მაისს, როდესაც „დინამომ" დაისაკუთრა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ამდენი სასიკეთო საქმე, ქართული ფეხბურთის საერთაშორისო ავტორიტეტისთვის, იმიჯისათვის, პროგრესისათვის და პოპულარიზაციისთვის, არ გაუკეთებია არც შინაურ და არც მოწვეულ უცხოელ მწვრთნელებს, რაც მოასწრო და გააკეთა ნოდარ ახალკაცმა. მან შექმნა სუპერგუნდი, რომელიც თითქმის მთლიანად ფეხბურთის ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული...

დასასრულ, დასანანია, რომ ამჟამად ბევრს თავი მხოლოდ პოლიტიკით აქვს გამოტენილი და იმისათვის იბრძვის, რომ როგორმე ხელისუფლებაში მოხვდეს და ბევრი ფული იშოვოს. ვის უნდა ისეთი სახელმწიფო და ხელისუფლება, სადაც სამშობლო, ეროვნული სიყვარულის თვითშეგნება, პატრიოტიზმი და მომავლისადმი რწმენა არ იქნება უპირველესი ამოცანა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები ადრე, არათავისუფალ და არადამოუკიდებელ საქართველოში უფრო მაღლა იდგა და დაფასებული იყო, ვიდრე ამჟამად არის, როდესაც, „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის." უნდა გავაცნობიეროთ, რომ კარგ ფეხბურთს, თავისი შემსრულებლების მაღალი ოსტატობით, შეუძლია თავის გარშემო შემოიკრიბოს უამრავი თაყვანისმცემლები, ხალხის ყურადღება ცდუნებიდან კარგი ქმედებებისკენ გადაიტანოს, მოზარდები ქუჩას მოაშოროს, და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის საერთაშორისო იმიჯი და ავტორიტეტი მოიტანოს.

ასე იყო და არის საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც ფეხბურთი სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, მეტიც, ის სახელმწიფოს მეთაურის მუდმივი კონტროლისა და ზედამხედველობით ვითარდება.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საქართველოში შეიქმნას ფეხბურთის კულტი, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გადაჭრას ის დაგროვილი პრობლემები, რომლებიც აბრკოლებენ ქართული ფეხბურთის განვითარებას, აღმავლობასა და წინსვლას, მხოლოდ ასეთი გზით შევძლებთ არა მარტო დავიბრუნოთ დაკარგული, ადრინდელი პოზიციები, არამედ, ახლო მომავალში გავიდეთ მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

**გურამ ჩხიკვაძე.**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ალავერდი ნოემბერს!

უმაღლესი ლიგის გუნდები მეთერთმეტე ტურის მატჩებს კვირას და ორშაბათს გამართავენ, მერე კი, კალენდარული ესტაფეტა ნოემბერს გადაეცემა. ეროვნული პირველობის მეთერთმეტე დღეს, სატურნირო თვალსაზრისით, რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება. უდავოდ, გამოსარჩევი ორი მატჩია. ლიდერთა უშელავათო დაპირისპირება მცხეთის „არმაზის" სტადიონზე შედგება. პირველობის ორი ხელისუფალი, უშუალო ორთაბრძოლაში გამოავლენს უძლიერესს. „ვიტ ჯორჯია" „სიონს" უმასპინძლებს. მესამეადგილოსანი „ლოკომოტივი" ეროვნულ სტადიონს ესტუმრება და მეხუთე ადგილზე მყოფ თანაქალაქელ „დინამოსთან" გაარკვევს ურთიერთობებს. მეტ-ნაკლები სიმწვავის, არც სხვა მატჩებია. ჩამოთვლილი ლიდერების შუაში მოკალათებული, მეოთხე საფეხურზე, საკმაოდ მყარად მდგომი „ბორჯომი" შინ, აუტსაიდერ „სპარტაკს" მიიღებს და წესით, მოწინავე პოზიციის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. მთლიანობაში, ლვინობისთვეში გასამართ ბოლო ტურს, თანაბარძალოვან მეტოქეთა შერკინება შეიძლება თავისუფლად დავარქვათ. ქომაგი საინტერესო მატჩების მომსწრე გახდება თელავში, ზესტაფონსა და გორში. ერთმანეთთან ახლოს მდგომი გუნდები ასეთი თანმიმდევრობით ითამაშებენ: კახელები კოლხებს, ზესტაფონელები გორელებს, ცხინვალელები კი ქუთაისელებს გორში უმასპინძლებენ.

ქულებით მკვეთრად დაშორებული ოთხი გუნდის ორი მატჩი თბილისში ჩატარდება. „შევარდენის" სტადიონზე სოხუმის „დინამო" თბილისის „ამერს" დაუხვდება. უქულო, ნაბოლარა „თბილისი" კი „ოლიმპის" სარბიელზე ბათუმელ დინამოელებს მიიღებს. როგორც ლიდერთა, ისე აუტსაიდერთა პაექრობები საფეხბურთო წესებით, მუდამ ინტრიგის მომცველია და ეს დაუწერელი კანონი, ალბათ, არც ამჯერად დაირღვევა.

უპირობო აუტსაიდერის „თბილისის" გადასარჩენად კლუბის თავკაცებს სრული მობილიზაცია აქვთ გამოცხადებული. **გიორგი დევდარიანს** გუნდის ფეხზე დაყენებაში გამოცდილი სპეციალისტები შეეშველებიან. მთავარ მწვრთნელს **თენგიზ კაცია** დაეხმარება, ხოლო პირველ ლიგაში მოასპარეზე თბილისი 2-ს **ჯონი ჯანელიძე** გაუძღვება. კლუბის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ სამწვრთნელო შტაბი გუნდს კრიზისიდან გამოიყვანს.

ახალ პატრონს ელის ბოლნისის „სიონი". აქამდე გუნდს სააქციო საზოგადოება „მადნეული" და ბოლნისის რაიონის გამგეობა პატრონობდა. „მადნეულის" ახალი მფლობელი, რამდენიმე დღეში უნდა გაირკვეს, რომელსაც ხელშეკრულებით კლუბ „სიონის" პატრონობაც ევალება.

მოკლედ, კარგი მატჩების და მნიშვნელოვანი სიახლეების მოლოდინშია ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი. ჩვენი მოვალეობა, მოვლენათა განვითარებისადმი თვალისდევნება და ქომაგობაა.

მეთერთმეტე ტურში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ ამერელი **დობროვოლსკი**, ბორჯომელი **გეწაძე**, ცხინვალელი **ი. თაყაძე**, ლოკომოტიველი **საჯაია**, თბილისელი **გ. ფოფხაძე**, სპარტაკელი **ხუბუა**, ტორპედოელი **დოლონაძე** და სოხუმელი **ვ. გაგუა**.

გადაწყვეტილია თბილისში, რამდენიმე საფეხბურთო ჩინოსნის სტუმრობაც. ოქტომბრის ბოლოს ჩამოვა უეფას დირექტორ-განმკარგულებელი

Coca-Cola
მენერალური სპონსორი

საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**ლარს ოლსონი**, რომელიც შეხვდება სფფ-ს მესვეურებს, გაესაუბრება სხვადასხვა საჭირბოროტო მნიშვნელოვან საკითხებზე, დაესწრება ეროვნული პირველობის ლიდერთა მატჩს მცხეთაში. 31 ოქტომბერს მცხეთაშივე უეფას კიდევ ერთ მაღალჩინოსან **ბრუნო ვოლფისბერგთან** და სახალისო ფეხბურთის კოორდინატორ **დანიელ ანდერს ლევინსენთან** ერთად დაესწრება სახალისო ფეხბურთის აკადემიის მესამე მოდულის საჩვენებელი სკოლის გახსნას. ღონისძიებას დაესწრებიან ასევე საქართველოს ხელისუფლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები. სამშაბათს, 1 ნოემბერს დაგეგმილია პრესკონფერენციის მოწვევაც...

**უმაღლესი ლიგა. XI ტური. ანონსი.**
**30 ოქტომბერი**
დინამო (სოხ) — ამერი
კახეთი — კოლხეთი 1913
ზესტაფონი — დილა
დინამო (თბ) — ლოკომოტივი
ცხინვალი — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — სიონი
ბორჯომი — სპარტაკი
**31 ოქტომბერი**
თბილისი — დინამო (ბთ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 10 | 8 | 1 | 1 | 23-6 | 25 |
| სიონი | 10 | 8 | 1 | 1 | 21-8 | 25 |
| ლოკომოტივი | 10 | 7 | 3 | 0 | 15-2 | 24 |
| ბორჯომი | 10 | 7 | 0 | 3 | 18-9 | 21 |
| დინამო (თბ) | 10 | 6 | 1 | 3 | 15-6 | 19 |
| ამერი | 10 | 6 | 1 | 3 | 9-7 | 19 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 1 | 4 | 7-6 | 16 |
| დილა | 10 | 5 | 0 | 5 | 15-10 | 15 |
| კოლხეთი1913 | 10 | 5 | 0 | 5 | 14-9 | 15 |
| ზესტაფონი | 10 | 4 | 2 | 4 | 6-9 | 14 |
| კახეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 9-14 | 12 |
| ცხინვალი | 10 | 3 | 0 | 7 | 7-18 | 9 |
| ტორპედო | 10 | 2 | 2 | 6 | 6-11 | 8 |
| დინამო (სოხ) | 10 | 2 | 1 | 7 | 9-24 | 7 |
| სპარტაკი | 10 | 1 | 1 | 8 | 2-14 | 4 |
| თბილისი | 10 | 0 | 0 | 10 | 2-20 | 0 |

**ბომბარდირები**
მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია) — 10
ქუთათელაძე (კოლხეთი) — 7
დვალი (სიონი) — 7
ქორიძე (ბორჯომი) — 6

## პირველი ლიგა. XII ტური. ანონსი.

**28 ოქტომბერი**
მეშახტე — ვიტ ჯორჯია2 (მცხ)
**29 ოქტომბერი**
ლოკომოტივი2 — რუსთავი
ამერი2 — მერანი
მესხეთი — თბილისი 2
ზესტაფონი2 — საგარეჯო
ლიახვი — დინამო2 (თბ)
მეშაქრე — ზუგდიდი
ჩიხურა — გაგრა
**30 ოქტომბერი**
მალაროელი — გურია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 11 | 8 | 1 | 2 | 36-15 | 25 |
| დინამო2 (თბ) | 11 | 7 | 2 | 2 | 21-6 | 23 |
| მეშაქრე | 11 | 7 | 2 | 2 | 21-10 | 23 |
| ამერი2 | 11 | 7 | 1 | 3 | 18-9 | 22 |
| მერანი | 11 | 6 | 3 | 2 | 14-7 | 21 |
| გურია | 11 | 6 | 2 | 3 | 23-14 | 20 |
| რუსთავი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-14 | 20 |
| გაგრა | 10 | 4 | 4 | 2 | 13-9 | 16 |
| მეშახტე | 11 | 4 | 3 | 4 | 12-9 | 15 |
| მესხეთი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-17 | 15 |
| ზუგდიდი | 11 | 4 | 3 | 4 | 4-7 | 15 |
| საგარეჯო | 11 | 4 | 2 | 5 | 11-11 | 14 |
| ლოკომოტივი2 | 11 | 4 | 1 | 6 | 10-7 | 13 |
| ვიტ ჯორჯია2 | 10 | 3 | 2 | 5 | 8-10 | 11 |
| თბილისი2 | 10 | 2 | 2 | 6 | 9-18 | 8 |
| ლიახვი | 11 | 2 | 0 | 9 | 10-29 | 6 |
| მალაროელი | 11 | 1 | 1 | 9 | 9-35 | 4 |
| ზესტაფონი2 | 8 | 0 | 0 | 8 | 7-22 | 0 |

## რეგიონალური ლიგა

**აღმოსავლეთი**
ამირანი — ერთობა 8-3
**გადადებული მატჩი**
ოჩამჩირე — ნ. დინამო2 (თბ) (28.X).
**დასავლეთი. იმერეთის ზონა.**
**VIII ტური.**
კახაბერი — ნ. დინამო (ქ) 4-1
იმერეთი — რაჭა 0-1
სულორი — ზესტაფონი3 0-1
სამტრედია — დინამო2 (ბთ) 0-0
შუქურა — მერცხალი 6-0
**გადატანილი მატჩი**
დინამო (ბთ) — ზესტაფონი 2-0
**სამეგრელოს ზონა. II წრე.**
**VIII ტური.**
კოლხეთი — მგლები 1-1
სამეგრელო — თოლია 0-4
კოლხეთი2 — დინამო (ზ) (28.X).
სქური — სალხინო (28.X)

**იმერეთის ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 7 | 5 | 1 | 1 | 18-4 | 16 |
| მერცხალი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-12 | 14 |
| კახაბერი | 8 | 3 | 4 | 1 | 12-7 | 13 |
| დინამო2 (ბთ) | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| რაჭა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| სამტრედია | 7 | 2 | 5 | 0 | 8-5 | 11 |
| ზესტაფონი3 | 7 | 3 | 1 | 3 | 11-9 | 10 |
| ტორპედო2(ქ) | 7 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 6 |
| იმერეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-15 | 5 |
| ნ. დინამო(ქ) | 7 | 0 | 4 | 3 | 5-11 | 4 |
| სულორი | 7 | 0 | 3 | 4 | 3-10 | 3 |

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილომი | 11 | 10 | 1 | 0 | 33-4 | 31 |
| ნ. დინამო | 11 | 9 | 2 | 0 | 28-3 | 29 |
| ამერი 3 | 11 | 8 | 3 | 0 | 28-3 | 27 |
| ნ. დინამო2 | 10 | 6 | 3 | 1 | 14-4 | 21 |
| ცხუმი | 11 | 6 | 1 | 4 | 29-21 | 19 |
| ხალიბი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-11 | 17 |
| ოჩამჩიე | 10 | 5 | 1 | 4 | 21-14 | 16 |
| კახეთი2 | 11 | 4 | 4 | 3 | 13-9 | 16 |
| სამგორი | 11 | 4 | 2 | 5 | 20-25 | 14 |
| მაუდი | 11 | 3 | 4 | 4 | 11-10 | 13 |
| გარეჯი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-9 | 12 |
| ალაზანი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-16 | 8 |
| ამირანი (ოჩ) | 11 | 2 | 2 | 7 | 15-25 | 8 |
| ალგეთი | 11 | 1 | 3 | 7 | 12-39 | 6 |
| დურუჯი | 11 | 1 | 1 | 9 | 9-40 | 4 |
| ერთობა | 11 | 0 | 2 | 9 | 9-39 | 2 |

**სამეგრელოს ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სქური | 7 | 5 | 2 | 0 | 16-6 | 17 |
| კოლხეთი (ხ) | 8 | 4 | 2 | 2 | 12-6 | 14 |
| კოლხეთი2(ფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 13-9 | 12 |
| სალხინო | 7 | 4 | 0 | 3 | 16-15 | 12 |
| მგლები | 8 | 3 | 2 | 3 | 9-19 | 11 |
| დინამო (ზ) | 7 | 3 | 1 | 3 | 9-12 | 10 |
| თოლია | 8 | 3 | 1 | 4 | 19-12 | 10 |
| სამეგრელო | 8 | 0 | 0 | 8 | 5-23 | 0 |

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე**
**არჩევან ლომიძე**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს ბორის სიჭინავას დის**
**მერი სიჭინავას**
**გარდაცვალების გამო**

# ერთიანი სისტემა გზას გააადვილებს ნაკრებისკენ

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში **ნოდარ ახალკაცმა** და 17-წლამდელთა თავკაცმა **ლევან მელიქიამ** პრესკონფერენცია გამართეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ. ტურნირი რამდენიმე დღის წინათ დასრულდა ბელგიაში და საქართველოს ოთხგუნდიან ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

**ლევან მელიქია:** „არ შეიძლება ჩვენი შედეგი დადებითად შევაფასოთ, მაგრამ თამაშებმა დაგვანახვა, რომ ბოლო წუთამდე გვქონდა ჯგუფიდან გასვლის შესაძლებლობა. ჩვენ ივნისში შევიკრიბეთ და ამ ოთხი თვის განმავლობაში მაქსიმუმი გავაკეთეთ. რაც შეეხება უშუალოდ თამაშებს, თავიდან ძალიან ცუდად დავიწყეთ, მაგრამ მერე ნელ-ნელა გამოსწორდა ყველაფერი. ზოგმა ფეხბურთელმა ფიზიკურ დატვირთვებს ვერ გაუძლო და ამასთან დაკავშირებით პრობლემები გაგვიჩნდა. მსაჯებმაც შეიტანეს გარკვეული წვლილი ჩვენს წარუმატებლობაში".


ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

ლევან მელიქიამ მადლობა გადაუხადა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს **გაიოზ დარსაძეს**, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში ახალგაზრდა ფეხბურთელებთან იყო და ბიჭებს ამხნევებდა. გუნდთან ერთად იყო აგრეთვე ნოდარ ახალკაცი, რომელმაც ყველანაირი პირობა შეუქმნა გუნდს ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად.

**ნოდარ ახალკაცი:** „ის ხარვეზები, რაც ბელგიაში დავინახეთ, ყველამ ერთად აღვნიშნეთ. ნაკრები ახალი ჩამოყალიბებულია და უნდა ვთქვა, რომ შედეგი გმირობის ტოლფასია. იმისათვის, რომ მომავალში უკეთ წარმოვაჩინოთ თავი და უკეთეს შედეგს მივაღწიოთ, ახლავე უნდა დავიწყოთ მომზადება. ყველა ასაკობრივ ნაკრებს ერთი სქემით ვათამაშებთ, რათა მომავალში არ გაუჭირდეთ ახალგაზრდულ ან ეროვნულ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება."

ნ. ახალკაცმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე რამდენიმე ფაქტზე. მაგალითად, 31 ოქტომბერს ჩვენთან ჩამოდის უეფას აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც თან მოჰყვება მენეჯერი. ვიზიტი გაცნობითი ხასიათისაა, რადგანაც ისინი ახალი დანიშნულები არიან თანამდებობაზე. მათთან დაგეგმილია პრესკონფერენცია. მეორე — უეფას შტაბ-ბინაში საქმიანი შეხვედრა შედგა გენერალურ მდივნებს შორის, რომელსაც **გრიგოლ ცაავა** ვერ დაესწრო ფეხის ტრავმის გამო და, სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია არაზუსტად გაშუქდა.

ახალკაცი შეეხო აგრეთვე ფედერაციის ვებ-გვერდის საკითხს და თქვა: „მივიღეთ გადაწყვეტილება, სანამ არ მოხდება ვებ-გვერდის გაუმჯობესება, შეჩერდეს მისი მოხმარება. რადგან, ვინც ერთხელ მაინც შევიდა ამ ვებ-გვერდში, მეორეჯერ ამის სურვილი აღარ გაუჩნდა."

ახალკაცმა ასევე გვამცნო, რომ მომავალი ამხანაგური მატჩი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა შინ უნდა ჩაატაროს 16 ნოემბერს იორდანიასთან, არაა გამორიცხული, ზესტაფონში გაიმართოს, მაგრამ ზესტაფონში ორგანიზაციული მხარე არ გვაძლევს საშუალებას მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. ამ ყველაფერს ნათელი რამდენიმე დღეში მოეფინება.

დღეს, 12 საათზე, გაიოზ დარსაძე და ნოდარ ახალკაცი პრესკონფერენციას გამართავენ, სადაც დაასახელებენ იმ შემადგენლობას, რომლებიც ამხანაგურ მატჩებში დაიცავენ საქართველოს ნაკრების ღირსებას სტუმრად ბულგარეთთან და შინ იორდანიასთან. ასევე ამომწურავად უპასუხებენ ჟურნალისტების შეკითხვებს.

**კახ. მგელაძე.**

# ბულგარეთი – საქართველო
## ხრისტომ რჩეული ოცეული დაასახელა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთა მეცადინეობით, ჩვენი ეროვნული ნაკრები ფიფას სანაკრებო კალენდრით გათვალისწინებულ წლევანდელ ბოლო ორ ოფიციალურ სათამაშო დღეს უქმად არ იქნება. 12 ნოემბერს, ჩვენებურები სოფიაში ბულგარეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, 16 ნოემბერს კი იორდანიის ნაკრებს უმასპინძლებენ. ბულგარეთის დედაქალაქში **გაიოზ დარსაძის** შეგირდები, სავარაუდოდ 11 ნოემბერს გაემგზავრებიან. რამდენიმე დღეში ქართული გუნდის საბულგარეთო შემადგენლობაც გამომზეურდება. ბალკანელთა თავკაცმა **ხრისტო სტოიჩკოვმა** კი უკვე გამოაქვეყნა სანაკრებო სია და ქართველებს ორ კვირაში ასეთ ოცეულს დაუპირისპირებს:

ქართველების მსგავსად ბულგარელებიც ვერ გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ, ამით, ჩვენი მომავალი მეტოქის ძალა არ დაკნინებულა. ისინი სტუმრებს, ფაქტობრივად, საუკეთესო შემადგენლობით დაუხვდებიან.

**მეკარეები:** სტოიან კოლევი (ლოკომოტივი პლ.), დიმიტარ ივანკოვი (ქაისერისპორი, თურქეთი).

**მცველები:** ალექსანდრ ტუნჩევი (ლოკომოტივი პლ), იანკო ვალკანოვი, ასენ კარასლავოვი (სლავია), ნიკოლაი დომაკინოვი (ბოტევი პლ.)

**ნახევარმცველები:** კალოიან კარაჯინოვი, მარჩო დაფჩევი (ლოკომოტივი, სოფ.), დანიელ ბოჟკოვი (ბოტევი პლ.), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი, გერმანია), ბლაგოი გეორგიევი (სლავია), გეორგი ილიევი, მარტინ კამბუროვი (ლოკომოტივი, პლ.), სტილიან პეტროვი (სელტიკი, შოტლანდია).

**თავდამსხმელები:** ზდრავკო ლაზაროვი (გაზიანთეპსპორი, თურქეთი), დიმიტარ ბერბატოვი (ლევერკუზენი, გერმანია), მარტინ პეტროვი (ატლეტიკო, ესპანეთი), ცვეტან გენკოვი (ლოკომოტივი სოფ.), სვეტოსლავ ტოდოროვი (პორტსმუთი, ინგლისი), ვალერი ბოჟინოვი (ფიორენტინა, იტალია).

**ცნობილი გახდა ასევე ქართული ნაკრების მეორე მეტოქის, იორდანიის ნაკრების შემადგენლობაც.**

**იორდანიის ნაკრები. მთავარი მწვრთნელი** — ჯამალ აჰმად აჰმად აბუ-აბედი, **მწვრთნელის ასისტენტი** — აბდალა მოჰამედ ალი აბუ ზემა., **მეკარეების მწვრთნელი** — ფაკრი ტაფიკ სალეჰი.

**ფეხბურთელები:** 1. აჰმად გაზი ჰატამლე, 2. აჰმად ჰაიელ იბრაჰიმ იბრაჰიმი, 3. ამერ შაფი მაჰმუდ საბა, 4. ამჯად ტ.მ. ალშუაიბი, 5. ამარ აჰმად იტლა ალშარაიდეჰ, 6. ანას კლიეფ აჰმად ალ-ზბუნი, 7. ბაზემ ფატი ომარ ოთმანი, 8. ბაშარ (მოჰდ ამინ) (ბანი იასინი), 9. ფაიზალ იბრაჰიმ კალილ სულეიმანი., 10. ფერას ტალებ მოჰამად აბუ ობეიდი, 11. ჰასან აბდელ-ფატან ჰასან მაჰმუდი, 12. ჰასანეჰ კასემი, 13. ჰატემ მუჰმად იოსეფ აკელი, 14. ხალედ საედ სალამ ალმალტაჰ, 15. ლოაი სალემ ატალა ელმაირეი, 16. მაჰმუდ ომარ მაჰმუდ შელბაიე, 17. მოიად ომარ სულეიმან აბუკეშკი, 18. მოჰამად ხამიზ რაჯენ ხამიზი, 19. მუსტაფა შეჰადეჰ მუსტაფა აბურომეჰი, 20. ქუსაი მოჰამედ მაჰმუდ აბუ ალეი, 21. სირაჯ აჰმად ალტალი, 22. შადი სამირ მოჰამად ალკატიბ.

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს ბორის სიჭინავას დის**
**მერი სიჭინავას**
**გარდაცვალების გამო.**
**გამოსვენება 29.X 14 საათი; მისამართი: ნუცუბიძის მე-3 მ/რ. II კვ. IX კორპუსი.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი და მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**
**მიხეილ ლოსაბერიძე**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ჩელსი“ და „ლივერპული“ ინგლისის ლიგის თასს გამოეთიშნენ, „იუვენტუსი“ კი კვლავ იგებს

ამ შუა კვირაში ესპანეთსა და იტალიაში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურებისათვის მოიცალეს, ინგლისში და გერმანიაში კი — თასის გათამაშებისათვის.

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მეცხრე ტურში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია მადრიდის „რეალმა“, რომელმაც ზიდანისა და რონალდოს გარეშე ვერაფერი გააწყო სტუმრად „დეპორტივოსთან“. ლაკორუნიელმა ფეხბურთელებმა სამი ბურთი გაიტანეს „სამეფო კლუბის“ კარში. მადრიდელთა განადგურება დე გუსმანმა დაიწყო 35-ე წუთზე. ტაიმის მიწურულს ხუანმამ მეორედ აიღო სტუმართა კარი. ყველა ელოდა, რომ მეორე ნახევარში ლუშემბურგოს შეგირდები ორგანიზებულად შეუტევდნენ და ორბურთიანი ჰანდიკაპის „ამოღებას“ შეძლებდნენ, მაგრამ... შეხვედრის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, როცა ხუანმამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. ბოლო წუთებზე რაულმა ერთი ბურთი გაქვითა. მადრიდის „რეალმა“ 1-3 წააგო. ეს ამ გუნდის



რიგით მეოთხე მარცხია პრიმერადივიზიონის მიმდინარე გათამაშებაში.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„დეპორტივო“:** მოლინა, კაპდევილა, ტრისტანი (კასტრო, 77), კოლიჩინი (სესარი, 74), ხუანმა, პაბლო, დე გუსმანი, დიუშერი, ვალერონი, სკალონი, მუნიტისი.

**„რეალი“:** კასილიასი, რობერტო კარლოსი, ელგერა, სერჟიო, ბექჰემი (ბალბოა, 54), ვუდგეიტი, დიეგო, გარსია (სალდადო, 67), დე სოუზა, გუტი, რაული.

ამასობაში ქვეყნის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ „მალაგა“ დაამარცხა 2-0, თუმცა, ორივე ბურთის გატანა კატალონიელებმა ბოლო 10 წუთის განმავლობაში შეძლეს. ჯერ რონალდინიომ გამოიჩინა თავი, შემდეგ კი ლარსონმა.

**„ბარსელონა“:** ვალდესი, ედმილსონი, მარკესი (ინიესტა, 45), ოლეგერი, პუიოლი, სილვინიო, ვან ბომელი, ხავი, ეტო'ო (ლარსონი, 70), ჟიული (მესი, 62), რონალდინიო.

**ოთხშაბათს გამართული სხვა შეხვედრები.** „ბეტისი“ — „ვილიარეალი“ 2-3, „ოსასუნა“ — „ბილბაო“ 3-2, „მალიორკა“ — „სელტა“ 1-0, **გუშინ კიდევ რამდენიმე თამაში ჩატარდა.**

**იტალიის სერია „ა“-ს** მეცხრე ტურში ზედიზედ მეცხრე გამარჯვება იზეიმა ტურინის „იუვენტუსმა“. „ბებერმა ქალბატონმა“ არც „სამპდორია“ დაინდო — 2-0. ანგარიში 41-ე წუთზე გახსნა ტრეზეგემ, მეორე ტაიმში კი მუტუმ გამოიჩინა თავი.

**„იუვენტუსი“:** ხიმენტი, კანავარო, კიელინი, რ. კოვაჩი, ემერსონი, ჯანიკედა, ნედვედი, ძამბროტა, დელ პიერო (სალაიეტა, 67), მუტუ (ბალზარეტი, 85), ტრეზეგე (კამორანეზი, 82).



„მილანმა“ სტუმრად აჯობა „ემპოლის“ — 3-1. საინტერესოა, რომ თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ ვანუჩის მიერ 34-ე წუთზე გატანილი ბურთის წყალობით, თუმცა, ამ უპირატესობით „ემპოლიმ“ მხოლოდ ათიოდე წუთი გაძლო. ტაიმის მიწურულს ჯილარდინომ წონასწორობა აღადგინა. მეორე ნახევარში, ვიერიმ ორჯერ აიღო მასპინძელთა კარი და კახი კალაძის გუნდმა მორიგი სამი ქულა ჩაიწერა. ქართველმა ფეხბურთელმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

**„მილანი“:** დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, კალაძე, შიმიჩი, იანკულოვსკი (გატუზო, 60), პირლო, რუი კოშტა, ზეედორფი (ფოგელი, 85), ჯილარდინო (კაკა, 67), ვიერი.

მეტად საინტერესო გამოდგა შეხვედრა მილანში, სადაც ადგილობრივმა „ინტერმა“ „რომას“ უმასპინძლა.

სტუმრებმა ალმავლობით ითამაშეს პირველ ნახევარში. უკვე მე-12 წუთზე მონტელამ დააწინაურა „რომა“, 30-ე წუთზე ფრანჩესკო ტოტიმ მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. მეორე ნახევრის დასაწყისში მანვე ზუსტად გამოიყენა „ინტერის“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი — და 3-0. ცხადია, ასეთი სხვაობის გაბათილება „ინტერისათვის“ ძნელი იქნებოდა, მასპინძლებმა მაინც იბრძოლეს და ადრიანომ 2 ბურთიც გაიტანა, თუმცა, გამარჯვება მაინც „რომას“ დარჩა — 3-2.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„ინტერი“:** სესარი, კორდობა, ფავალი (სოლარი, 90), მატერაცი, სამუელი, ზე მარია (ადრიანო, 46), კამბიასო, ფიგუ, ვერონი, კრუსი, რეკობა (მარტინსი, 75).

**„რომა“:** დონი, კივუ, კუფრე, კუფური, მანჩინი (დაკური, 77), პანუჩი, დე როსი, ტადეი (მექსე, 83), მონტელა (ნონდა, 59), პეროტა, ტოტი.

**სხვა შეხვედრები:** „ასკოლი“ — „უდინეზე“ 1-1, „კალიარი“ — „ლივორნო“ 1-1, „რეჯინა“ — „ტრევიზო“ 1-2, „სიენა“ — „ფიორენტინა“ 0-2, „პარმა“ — „მესინა“ 1-1, „ლაციო“ — „კიევო“ 2-2, „პალერმო“ — „ლეჩე“ 3-0.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 9 | 9 | 0 | 0 | 18-2 | 27 |
| „მილანი“ | 9 | 7 | 1 | 1 | 18-7 | 22 |
| „ფიორენტინა“ | 9 | 6 | 1 | 2 | 20-11 | 19 |
| „ინტერი“ | 9 | 6 | 0 | 3 | 18-8 | 18 |
| „პალერმო“ | 9 | 4 | 3 | 2 | 17-14 | 15 |

**შოტლანდიის პრემიერლიგის** მორიგ ტურში „ჰართსმა“ მორიგი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია „კილმარნოკს“. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის 35-ე წუთზე იანკაუსკასმა გაიტანა.

„სელტიკმა“ საკუთარ მოედანზე „მოზერველი“ გაანადგურა — 5-0, ხოლო კიდევ ერთი შოტლანდიური ფეხბურთის გრანდი — „რეინჯერსი“ სტუმრად ფრეს დასჯერდა „ლივინგსტონთან“ შეხვედრაში.

**სხვა შეხვედრები:** „ინვერნესი“ — „ფალკირკი“ 0-3, „დანფერმლაინი“ — „ჰიბერნიანი“ 1-2, „აბერდინი“ — „დანდი“ 2-0.

სატურნირო ცხრილში ლიდერობს „ჰართსი“, რომლის ანგარიშზეც 10 გამარჯვება და 2 ფრეა. ამ გუნდს ჯერ მარცხი არ უგემია.

საინტერესო და მოულოდნელი შედეგები დაფიქსირდა **გერმანიის თასის გათამაშებაში.** „აინტრახტმა“ საკუთარ მოედანზე ლევან კობიაშვილის „შალკე“ გაანადგურა — 6-0! ბურთები გაიტანეს მეიერმა(2), ჰაგელმა, , შპაიგერმა, კორადომ და ოუშმა.

**სხვა შეხვედრები:** „ფრაიბურგი“



— „ბრაუნშვაიგი“ 4-1, „სანკტ-პაული“ — „ბოხუმი“ 4-0, „ალემანია“ — „ჰანოვერი“ 1-2, „ნიურნბერგი“ — „დინამო“ (დრეზდენი) 3-0, „ერფურტი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2-4, „ვერდერი“ — „ვოლფსბურგი“ 2-2, (პენ. 5-4), „უნტერხახინგი“ — „საარბრიუკენი“ 2-1 (დ.დ.) „ოსნაბრიუკი“ — „მაინცი“ 2-2 (პენ. 2-4), „კიკერსი“ — „კარლსრუე“ 2-1, „მიუნხენი“ — „დუისბურგი“ 3-2, „ჰერტა“ — „მიონხენგლადბახი“ 3-0, „ჰანზა“ — „შტუტგარტი“ 3-2, „ჰამბურგი“ — „ლევერკუზენი“ 3-2, „არმინია“ — „კოტბუსი“ 2-1, „ერცებირგე“ — „ბაიერნი“ 0-2.

**ინგლისის ლიგის თასის გათამაშებას** გამოეთიშა ლონდონის „ჩელსი“. აბრამოვიჩის გუნდმა საკუთარ მოედანზე „ჩარლტონს“ უმასპინძლა. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ — 1-1 დასრულდა. პენალტების სერიაში 5-4 გაიმარჯვა „ჩარლტონმა“.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ 4-1 გაანადგურა „ბარნეტი“, „ევერტონი“ შინ 0-1 დამარცხდა „მიდლსბროსთან“. **სხვა შეხვედრები:** „ბირმინგემი“ — „ნორვიჩი“ 2-1, „კარდიფი“ — „ლესტერი“ 0-1, „გრიმსბი“ — „ნიუკასლი“ 0-1, „ბოლტონი“ — „ვესტ ჰემი“ 1-0. „დონკასტერი“ — „ჯილინგემი“ 2-0, „მენსფილდი“ — „მილუოკი“ 2-3, „ასტონ ვილა“ — „ბარნლი“ 1-0, „კრისტალ პალასი“ — „ლივერპული“ 2-1, „სანდერლენდი“ — „არსენალი“ 0-3, „უიგანი“ — „უიტფორდი“ 3-0, (დ.დ), „ფულემი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 2-3, (დ.დ.) „რედინგი“ — „შეფილდი“ 2-0, „ბლექბერნი“ — „ლიდსი“ 3-0.

## მარადონა ინტერვიუს აიღებს ფიდელ კასტროსაგან



არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავი დიეგო მარადონა სტუმრად იმყოფება კუბის დედაქალაქ ჰავანაში. მისი სტუმრობის მიზანია, ინტერვიუ აიღოს კუბის მმართველისაგან ფიდელ კასტროსაგან. ინტერვიუს აჩვენებენ ცნობილ სატელევიზიო გადაცემაში — „სტუმრად მეათე ნომერთან“, რომლის წამყვანიც თავად მარადონაა.

## სტამი „მილანიდან“ მიდის

**მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე „მილანის“ რიგებს დატოვებს და ჰოლანდიაში დაბრუნდება იაპ სტამი. როგორც მისი აგენტი ჰენკ ვან ჰ ინკელი აცხადებს, ფეხბურთელს სურს, უფრო მეტი დრო გაატაროს საკუთარ ოჯახთან ერთად.**

## პსვ «ეინდჰოვენის წარმატების ფორმულა

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდი პსვ „ეინდჰოვენი“ უკვე მეორე სეზონია, რეგულარულად კარგავს ვარსკვლავებს, მწვრთნელ გუუს ჰიდინკს მაინც ძალუძს, გუნდი კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში ამყოფოს.

მას შემდეგ, რაც კვირას, ჰოლანდიის ჩემპიონატის მომდევნო ტურის ცენტრალურ შეხვედრაში დაამარცხა „აიაქსი“ მინიმალური ანგარიშით 1-0, პსვ „ეინდჰოვენი“ ცხრილის სათავეში მოექცა და ეს წლევანდელ სეზონში პირველად მოხდა. ეს მაშინ, როცა ამა წლის ზაფხულში ჰიდინკის გუნდმა ძირითადი შემადგენლობის ის 5 ფეხბურთელი დაკარგა, რომელთა წყალობით ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების ნახევარფინალში გავიდა: იოჰან ფოგერი „მილანში“ გადაბარგდა, მარკ ვან ბომელმა „ბარსელონაში“ ამოყო თავი, ხოლო სამმა ფეხბურთელმა — ჯი სუნ პარკმა, ვილფრედ ბაუმამ და იანგ პელიმ კარიერის გაგრძელება პრემიერლიგის გუნდებში არჩიეს, შესაბამისად — „მანჩესტერ იუნაიტედში“, „ასტონ ვილასა“ და „ტოტენჰემში“.

„გუნდის შუახაზის განახლება უფრო ძნელია, ვიდრე თავდამსხმელების შეცვლა,“ — განაცხადა გუუს ჰიდინკმა უეფას ოფიციალური საიტისათვის მიცემულ ინტერვიუში. სწორედ შუახაზის განახლება იყო მწვრთნელისათვის რთული საქმე. ამიტომაც ვერ აიღო „ეინდჰოვენმა“ სტარტი წარმატებულად: ჯერ იყო და, ჰოლანდიის სუპერთასისათვის ბრძოლაში დამარცხდა „აიაქსთან“, ჩემპიონატის პირველ ტურში კი ფრეს დასჯერდა დებიუტანტ „ჰერაკლესთან“..

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრებიც ვერ ჩაატარეს სტაბილურად ჰიდინკის შეგირდებმა. თავდაპირველად საკუთარ მოედანზე 1-0 აჯობეს „შალკეს“, შემდეგ გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს სტუმრად თურქულ „ფენერბახჩესთან“ (0-3)...

„ეინდჰოვენისათვის“ ყველაზე რთული იყო პერიოდი 15-დან 23 ოქტომბრის ჩათვლით, როცა ჰიდინკის გუნდს ჰქონდა შეხვედრები შოთა არველაძის „ალკმაართან“, კახი კალაძის „მილანთან“ და ბოლოს — „აიაქსთან“.

ეს სამი სერიოზული გამოცდა „ეინდჰოვენმა“ შესანიშნავად ჩააბარა. „ალკმაარი“ 3-0 გაანადგურა“, სტუმრად „მილანთან“ ფრედ — 0-0 ითამაშა. ბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აიაქსიც“ დაჯაბნა. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ სეზონში ვერც „ფეიენოორდი“ და ვერც „აიაქსი“ ძველებურად ვერ ბრწყინავენ, ჰიდინკის გუნდის შედეგები მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება.

„ეინდჰოვენის“ წარმატების მთავარი საიდუმლო დაცვაში შესანიშნავი თამაშია. დაცვის ხაზის ცენტრში საიმედოდ ასპარეზობენ ანდრე ოიერი და ალექსი. რომლებსაც დიდ დახმარებას უწევენ მაიკლ ლეიმი და მიხაილ რაიციგერი. ამ კვარტეტის წინ ეფექტურად მოქმედებს ბელგიის ნაკრების მოთამაშე ტიმი სიმონსი, რომელიც „ეინდჰოვენის“ ხელმძღვანელობამ ზაფხულში შეიძინა „ბრიუგესაგან“. გუნდისათვის დიდი სარგებლობა მოაქვთ სწრაფ შემტევ ჰავბეკ იბრაჰიმ აფელაისა და თავდამსხმელ ჯეფერსონ ფარფანს. საშინაო ჩემპიონატში გამოირჩევიან ჯეისონ კულინა და არუნ კონე.

„ეინდჰოვენის“ სული და გულია



35 წლის ფილიპ კოკუ. ვეტერანი კაპიტანი გუნდის ახალწვეულებს „ჰოლანდიურ გარემოში“ ადაპტირებაში ეხმარება. ასაკის მიუხედავად კოკუ შეუდარებელია და ჰიდინკს სურვილი აქვს, გააგრძელოს კონტრაქტი მოთამაშესთან, რომელსაც 93 მატჩი აქვს ჩატარებული ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში.

„კარგი იქნება, თუ კოკუ კვლავ დარჩება გუნდში. ის დაეხმარება გუნდის დანარჩენ წევრებს წარმატებების მიღწევაში არა მხოლოდ საშინაო, არამედ, ევროპულ არენაზე. მოთამაშეები მას დიდ პატივს სცემენ“, — განაცხადა გუუს ჰიდინკმა. ბევრი სპეციალისტი ცდილობს, რომ სწორედ მწვრთნელისა და ვეტერანის ურთიერთ შეთანხმებულ მოქმედებებსა და გუნდის მართვაში „იმალება“ „ეინდჰოვენის“ წარმატების ფორმულა.

## ჯარიმა შეურაცხყოფისათვის

**გერმანიის საფეხბურთო კლუბ „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობამ დააჯარიმა მთავარი მწვრთნელი მიხაელ ჰენკე მეტოქე გუნდის მოთამაშეთა შეურაცხყოფისათვის. საქმე ის არის, რომ გერმანიის თასის გათამაშებაზე „კაიზერსლაუტერნისა“ და მესამე დივიზიონელ „როტ-ვაისს“ შორის გამართული შეხვედრის დროს, „როცა ჩვენი ერთი მოთამაშე მოედანზე იწვა ტრავმამიღებული, „როტ-ვაისის“ ფეხბურთელებმა ბურთი აუტში არ გადააგდეს. ეს ხომ არაჯენტლმენური ქმედება იყო“, — თავი იმართლა მწვრთნელმა მიხაელ ჰენკემ.**

**„ჰენკემ შეურაცხყოფა მიაყენა არა მხოლოდ ჩემს შეგირდებს, არამედ მთელ აღმოსავლეთ გერმანიას“, — ამბობს „როტ-ვაისის“ მთავარი მწვრთნელი პაველ დოჩევი.**

**„კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობა აპირებს 12 ათასი დოლარი გადაუხადოს მესამე დივიზიონურ კლუბს.**

## ზიდანი რამდენიმე თამაშს გამოტოვებს და „სუპერკლასიკოსათვის“ მოემზადება



ზურგის ტრავმის გამო მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს. ის ვერ ითამაშებს პრიმერადივიზიონის მატჩებს „ბეტისთან“ და „სარაგოსასთან“, ვერც ჩემპიონთა ლიგაზე „როზენბორგის“ წინააღმდეგ, ვერც საფრანგეთის ნაკრებს დაეხმარება კოსტარიკისა და გერმანიის ნაკრებებთან შეხვედრებში. „რეალის“ მთავარი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშემბურგოს განცხადებით, ზიდანი მოემზადება ე.წ. „სუპერკლასიკოსათვის“ — „ბარსელონასთან“ ცენტრალური შეხვედრისათვის, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება.

# ნბა

## ასე ფიქრობენ...



ნბა-ს გუნდების გენერალური მენეჯერების 77 პროცენტი მიიჩნევს, რომ ახალ სეზონში ჩემპიონი კლუბი „სან-ანტონიო“ გახდება. ამავე გუნდის ლიდერმა თიმ დანკანმა ხმების 78 პროცენტი მიიღო იმაზე, რომ წლის საუკეთესო ფორვარდის ტიტულს მოიპოვებს.

## მუჰამედ ალის ჯანმრთელობა გაუარესდა

**ყოფილი მოკრივე, ლეგენდარული მუჰამედ ალი, როგორც ცნობილია, უკვე ოცი წელიწადია პარკინსონით არის დაავადებული. უკვე რამდენიმე დღეა ალის მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა მოკრივის ქალიშვილმა ლეილა ალიმ.**

**„ბოლო პერიოდში ავადმყოფობამ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მუჰამედი. ის ცოტას ლაპარაკობს, თანაც დიდი გაჭირვებით. თითქმის ვერაფერს ვგებულობ მისი ნათქვამიდან. თავად ალის ყველაფერი ესმის,“ – თქვა ლეილამ. მისი თქმით, მამამისი ზოგჯერ თავს უკეთესად გრძნობს და იმ დროს ხუმრობს თურმე, – კრივს მალე დავუბრუნდებიო.**

## ჯენსონ ბატონი პილოტი ქალების წინააღმდეგ




„ბარის“ პილოტმა ბრიტანელმა ჯენსონ ბატონმა „ფორმულა1“-ში პილოტებად სუსტი სქესის წარმომადგენლების გამოჩენის წინააღმდეგ გაილაშქრა. ჯენსონის აზრით, პილოტ ქალებს პრობლემები ექნებათ ბოლიდების ნორმალურ მართვასთან დაკავშირებით.

– „ფორმულა 1“-ის ბოლიდების კაბინაში ყოფნა მოუხერხებელი იქნება დიდმკერდიანი გოგონებისათვის“, – ამბობს ჯენსონ ბატონი, რომელსაც დღემდე, ჯერჯერობით არ მოუგია ერთი გრან პრიც კი.

მისი შეშფოთება იმან გამოიწვია, რომ წლევანდელ სეზონში აი-ერ-ელ-ის სერიის რბოლებში გამოჩნდა პილოტი ქალი – დანიკა პატრიკი, რომელმაც სახელგანთქმულ „ინდიანაპოლის – 500“-ში მეოთხე ადგილი დაიკავა და ბევრ ცნობილ ვაჟ პილოტს გადაუსწრო.

25 წლის ბრიტანელმა კეტრინ ლეჯმა უკვე „შეაღწია“ „ფორმულა1“-ში – ის „მინარდის“ ტესტ-პილოტია.

## პეტრ სვიდლერი: „ტოპალოვის ჩემპიონობა ბევრისთვის მოულოდნელი იყო“

ამ ცოტა ხნის წინათ, არგენტინის ქალაქ სან-ლუისში დასრულებულ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში რუსმა დიდოსტატმა პეტრ სვიდლერმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. გთავაზობთ სვიდლერის მიერ ინტერნეტ-საიტ „გაზეტა – რუსათვის“ მიცემულ ინტერვიუს

◆ *კმაყოფილი ხართ საკუთარი შედეგით?*

– რა თქმა უნდა. მესამე ადგილი საშუალებას მაძლევს მომდევნო, მსგავს მატჩ-ტურნირში ვიასპარეზო, რომელიც 2007 წელს არის დანიშნული.

◆ *გადმოგცეს თუ არა ბრინჯაოს მედალი მესამე ადგილის დაკავებისათვის?*

– ჯილდოებთან დაკავშირებით, სან-ლუისის ტურნირის დახურვის ცერემონიალზე კურიოზული შემთხვევა მოხდა. დარბაზში ყველა მონაწილემ პირველ რიგში დაიკავა ადგილი.

თავდაპირველად ორგანიზატორები დააჯილდოვეს, არავინ არ გამოუტოვებიათ, ის კი არა, პარტიების დემონსტრატორებსაც და მთარგმნელებსაც გადასცეს სამახსოვრო მედლები. სცენაზე დარჩა 3 თასი და ფრინველის, ყანჩას 5 ქანდაკება. ვიფიქრეთ, რომ ეს სამი თასი პრიზიორებს ერგებოდათ, ხოლო ფრინველები – დანარჩენ მონაწილეებს. გავოცდით, როცა დავინახეთ, როგორ გადასცეს სამივე თასი ვესელინ ტოპალოვს. ფრინველები კი როგორც ვივარაუდეთ, საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩენილ მოჭადრაკეებს ერგოთ.

◆ *თვით ტურნირის ორგანიზაციას როგორ შეაფასებდით?*

– სან-ლუისში მოჭადრაკეებს გვიმასპინძლეს, როგორც VIP-ის პერსონებს. თვითმფრინავის ტრაპზე ხალიჩის დაგებით დაწყებული, შესანიშნავი სასტუმროთი დამთავრებული. ის კი არა, პერსონალური თარჯიმნებიც მოგვიჩინეს.

◆ **იყო თუ არა თქვენთვის მოულოდნელი ბულგარელი დიდოსტატის ვესელინ ტოპალოვის წარმატება?**

– ეს ყველასათვის მოულოდნელი იყო. როცა სან-ლუისიდან შინ დავბრუნდი, ხელში მომხვდა ერთი გერმანული საჭადრაკო ჟურნალი, რომელშიც მიმოიხილავდნენ ჩემპიონატის მსვლელობას. ბევრი სპეციალისტი გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა ინდოელ ვიშვანათან ანანდს, ზოგიერთები – ტოპალოვს, რამდენიმე მიმომხილველს კი უნგრელი პეტერ ლეკოს სჯეროდა. ტოპალოვმა საკუთარი ენერგიის ხარჯზე მოიგო შეჯიბრება. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ჩაატარა პირველი წრე.

◆ ***რამდენად სერიოზულად გეჩვენებათ მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ვესელინ ტოპალოვის გეგმები გარი კასპაროვთან, ვლადიმირ კრამნიკთან და რობერტ ფიშერთან შეხვედრების ჩატარების შესახებ?***


სვიდლერი (მარცხნივ) ტოპალოვთან პარტიას იწყებს

– კასპაროვსა და ფიშერზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება ვლადიმირ კრამნიკს, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებას აწარმოებს ტოპალოვის მენეჯერი სილვიო დანაილოვი. საერთოდ, მსოფლიო საჭადრაკო საზოგადოებისათვის საჭიროა, საბოლოოდ დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ საუბარი გაერთიანების პროცესზე.



◆ ***მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა გაიარეთ დოპინგ-კონტროლი. მოგწონთ ეს სიახლე?***

– არასოდეს გამიგია, რომ რომელიმე მოჭადრაკეს ანაბოლიტები მიეღოს. ასეთი პრეპარატები გამოუსადეგარია ჩვენი სამუშაო ინსტრუმენტისათვის – ტვინისათვის. უბრალოდ, ფიდეს პრეზიდენტს კირსან ილიუმჟინოვს ამოძრავებს იდეა, – ჩართოს ჭადრაკი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

◆ ***როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?***

– ვაპირებ, ვითამაშო რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც რამდენიმე დღეში ისრაელში დაიწყება.

## უკვე ახალი სეზონისთვის ემზადებიან

დიდი ხანი არ არის, რაც დასრულდა „ფორმულა 1“-ის წლევანდელი სეზონი, ორგანიზატორები უკვე მომავალი წლის ჩემპიონატისათვის ემზადებიან.

უკვე ცნობილია წინასწარი კალენდარი. „ფორმულა1“-ის 2006 წლის სეზონი მარტში, ბაჰრეინში იწყება და არა ავსტრალიაში, როგორც ეს ტრადიციად იყო ქცეული.

გაგაცნობთ წინასწარ განრიგს:

12 მარტი – ბაჰრეინის გრან პრი.
19 მარტი – მალაიზიის გრან პრი
2 აპრილი – ავსტრალიის გრან პრი
23 აპრილი – სან-მარინოს გრან პრი
7 მაისი – ევროპის გრან პრი
14 მაისი – ესპანეთის გრან პრი
28 მაისი – მონაკოს გრან პრი
11 ივნისი – დიდი ბრიტანეთის გრან პრი
25 ივნისი – კანადის გრან პრი
2 ივლისი – აშშ-ის გრან პრი
16 ივლისი – საფრანგეთის გრან პრი
30 ივლისი – გერმანიის გრან პრი
6 აგვისტო – უნგრეთის გრან პრი
27 აგვისტო – თურქეთის გრან პრი
10 სექტემბერი – იტალიის გრან პრი
17 სექტემბერი – ბელგიის გრან პრი
1 ოქტომბერი – იაპონიის გრან პრი
8 ოქტომბერი – ჩინეთის გრან პრი
22 ოქტომბერი – ბრაზილიის გრან პრი



## „ფორმულა 1“-ში წესები იცვლება

**„ფორმულა 1“-ის ახალ, 2006 წლის სეზონში პილოტები საკვალიფიკაციო რბოლებს სრულიად განსხვავებული წესებით გაივლიან. ამოქმედდება ე.წ. „გამოვარდნის“ სისტემა: აუტსაიდერები რბოლას საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოეთიშებიან, რათა ხელი არ შეუშალონ ფავორიტთა ბრძოლას.**

**ახალი წესების შესახებ გადაწყვეტილება ლონდონში გამართულ „ფორმულა 1“-ის ათი გუნდის ხელმძღვანელთა შეკრებაზე მიიღეს.**

**მაშ ასე, 2006 წლიდან საკვალიფიკაციო რბოლაში სამი ეტაპი იქნება. პირველ 15 წუთიან ეტაპზე, უარესი შედეგების მქონე 5 ბოლიდი გამოეთიშება ასპარეზობას. მათ ბედს მეორე ეტაპზე კიდევ ხუთი ბოლიდი გაიზიარებს. მესამე ეტაპზე დარჩენილი 10 ბოლიდი გაითამაშებს ადგილებს ძირითადი რბოლის სტარტზე.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**28 ოქტომბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** საფეხბურთო მიმოხილვა (13.00), *НТВ плюс спорт.* „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი“ – „ჩიკაგო“ (11.30), ბეისბოლი. მლბ-ს ჩემპიონატი (14.45), ჭადრაკი. საერთაშორისო ტურნირი „გოლდენ ბლიცი“ (17.30), ჰოკეი (18.20), ფიგურული სრიალი (20.45), „ბურთი და ფარი“ (21.45), კანადის გრან პრი ფიგურულ სრიალში (22.30), ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (0.15), *НТВ плюс online.* ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (15.25), ხელბურთი. ეროვნებათა სუპერთასი (19.55), ფიგურული სრიალი. კანადის გრან პრი (23.30). EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30), ფეხბურთი. „გოლი“ (11.45), ევროპის ჩემპიონთა ლიგა (12.00), ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (14.00), ჩოგბურთი ვტა-ს ტურნირი ლანცში (16.00), ფეხბურთი. „24 საუკეთესო კლუბი“ (22.00), სუმო (22.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30), ექსტრემალური სპორტი (2.00). ევროსპორტის ახალი ამბები (3.00).

**29 ოქტომბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (15.45, 18.00), *НТВ плюс спорт.* ფიგურული სრიალი. კანადის გრან პრი (8.30), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი“ – „ჩიკაგო“ (10.25), „დიდი რინგი“ (14.40), ხელბურთი. „ეროვნებათა თასი“ ნახევარფინალი (16.55), ჩოგბურთი. ვტა-ს საერთაშორისო ტურნირი ბელგიაში (21.00), ამერიკული ფეხბურთი. მსოფლიო თასის გათამაშება (0.25), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ატლანტა“ – „ტამპა ბეი“ (2.00). *НТВ плюс online.* ჩოგბურთი ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (13.55), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა „ჩარლტონი“ – „ბოლტონი“ (17.55), ფიგურული სრიალი. კანადის გრან პრი (21.30), ბეისბოლი. მლბ-ს ჩემპიონატი (2.30). EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (10.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00), ფეხბურთი. „24 საუკეთესო კლუბი“ (11.30) ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (12.00). ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (14.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ლანცში (16.00), სუმო. „დიდი ჩემპიონატი“ (22.30), კრივი (23.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30), ექსტრემალური სპორტი (1.00), საბრძოლო ხელოვნება (1.45).

**30 ოქტომბერი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (19.00), *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ატლანტა“ – „ტამპა ბეი“ (11.25). ფიგურული სრიალი. კანადის გრან პრი (14.45), ფრენბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (16.55), „სპორტული გლობუსი“ (18.45), საჭადრაკო მიმოხილვა (19.15), ფიგურული სრიალი (20.00), ბურთიანი ჰოკეი. მსოფლიო თასის გათამაშება (22.15). ხელბურთი. ეროვნებათა თასი (22.30), „ყველაფერი რაგბის შესახებ“ (0.45), ჩოგბურთი. ვტა-ს საერთაშორისო ტურნირი ბელგიაში (1.30). *НТВ плюс online.* ბურთიანი ჰოკეი. მსოფლიო თასის გათამაშება (11.55), ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (14.55), ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. „არმინია“ – „ჰანოვერი“ (20.25), ფიგურული სრიალი (22.55), ამერიკული ფეხბურთი (1.05). EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. (11.00), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (12.00), ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი სანკტ-პეტერბურგში (14.00), ფეხბურთი. „24 საუკეთესო კლუბი“ (15.30), ჩოგბურთი. ვტა-ს საერთაშორისო ტურნირი ლანცში (16.00), სუმო (22.30), კრივი (23.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30), ექსტრემალური სპორტი (1.00), საბრძოლო ხელოვნება (1.45).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი, 7. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, თამაშობს გერმანიაში, 9. ხარების ბრძოლა, 10. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1936 წელს, 13. ნბა-ს გუნდი, 14. ვინმეს პირდაპირ, პირისპირ (გამოიყენება სპორტულ ტერმინად), 15. სპორტული რბენა დაბრკოლებების გადალახვით, 19. სასკოლო ტანვარჯიშული იარაღი, 21. ავსტრიის საფეხბ. კლუბი, 22. შოტლანდიის საფეხბ. კულბი, 23. არსენა ოძელაშვილის დროის საზომი, 24. „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი, იანგ პიო...



**შვეულად:** 1. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 2. ერთგვარი დარტყმა კრივში, 3. საავტომობილო ფირმა, 4. თავისუფალ ჭიდაობაში მს. ჩემპიონი, იაპონელი ფალავანი, 5. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. 6. ბერძნების ძველი სახელი, 8. ფეხბურთში ინგლისის მს. ჩემპიონატის თილისმა, 11. სპორტული პრიზის ნაირსახეობა, 12. ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ფეხბურთელი, 13. ხაშურის საფეხბ. კლუბი, 16. პროფესიონალი მოკრივე, 17. ცურვის ყაიდა, ანუ... 18. ცნობილი საფეხბ. მწვრთნელი, მარჩელო... 20. უბანი თბილისში, რომელსაც აქვს ბავშვთა საფეხბურთო მოედანი „ირაო“.

მოამზადა ნოდარ ჯავახაძემ.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ბიგანიშვილი, 5. „აეკი“, 8. „ბასკო“, 10. აკვრა, 12. სეტი, 13. ბარკლი, 14. სო, 16. ზაურ, 18. ვაზარი, 19. კროლი, 21. ევრა, 24. „ნიუკასლი“, 25. ნეტო, 26. „ულმი“, 27. ტირი, 28. მალანია.

**შვეულად:** 1. ბრუ, 2. გო, 3. ნოა, 4. შოკი, 6. კარპოვი, 7. „ბაია“, 8. ბაკურიანი, 9. ბელოვი, 11. გაბაშვილი, 15. ძაგანია, 17. სკაუტი, 20. ლისი, 22. ფიტა, 23. ეტლი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ანდერსენი
„ილიუსტრი ლონდონ ნიუსი“
(1846 წ.)



შამათი 3 სვლაში

№82-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეg6!
1. ...... e5 2. კe3 მფ:h4 3. ეh6X
1. ...... მფ:h4 2. ეh6+ მფg5 3. კe3X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com